



# ახალი განათლებ

№40 (474) გამოდის 1998 წლიდან



2009 წლის გაზაფხულიდან, რუბრიკით – „წარმოგიდგენთ კერძო სკოლას“, ჩვენი გაზეთი მკითხველს კერძო სასწავლო დაწესებულებებს აცნობდა. ჩაფიქრებული იყო კონკურსი, რომელიც მაღალი რეიტინგის მქონე სამ სასწავლო დაწესებულებას გამოავლენდა. გამარჯვებული სკოლები „ახალი განათლების“ 2010 წლის ხელმოწერით დასაჩუქრდებოდნენ. რუბრიკას მხოლოდ 7 სკოლა გამოეხმაურა, ამიტომ კონკურსი ვერ შედგა. რედაქციამ გადაწყვიტა, გამოეკითხა მშობლები, წარმოდგენილი სასწავლო დაწესებულებებიდან რომელში ისურვებდნენ ბავშვის მიყვანას. გამოკითხვის შედეგად, ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს: GLC-ის სკოლამ (დირექტორი – მარინა დეკანოიძე); სკოლა-ლიცეუმმა „მნიგნობართუხუცესი“ (დირექტორი – დავით კახნიაშვილი) და ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის გახანგრძლივებულმა კერძო სკოლამ (დირექტორი – ია გუგუნავა). დაპირებისამებრ, რედაქცია სამივე სკოლას 2010 წლის ხელმოწერით ასაჩუქრებს.

## „ახალი განათლების“ ხელმოწერითა საყურადღებოდ!

2010 წლის ხელმოწერის მსურველებმა ერთმანეთი ხელმოწერის თანხა – 36 ლარი ან 6-თვიანი ხელმოწერის თანხა – 21 ლარი 60 თეთრი უნდა გადმოირიცხონ იანვრის ბოლომდე.

ჩვენი რეკვიზიტები:

საქართველოს ბანკის

ცენტრალური ფილიალი

ს/კ 202058735; ბ/კ 220101502; ა/ა 123631000



ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ტარდება 9 იანვრიდან 17 იანვრის ჩათვლით, ყველა რაიონულ ცენტრში, ერთდროულად, შიმდებ საგანგებო:

- 9 იანვარი – ქართული.
- 10 იანვარი – მათემატიკა
- 11 იანვარი – უცხოური ენები
- 12 იანვარი – ისტორია
- 13 იანვარი – გეოგრაფია
- 14 იანვარი – ბიოლოგია
- 15 იანვარი – ფიზიკა
- 16 იანვარი – ქიმია
- 17 იანვარი – ინფორმატიკა

საგანმანათლებლო რესურსცენტრები 23 დეკემბრიდან მიიღებენ და სკოლებს დაურიგებენ ოლიმპიადის მონაწილეთა ბარათებს. ოლიმპიადის მონაწილეებს ბარათები უშუალოდ თავიანთ სკოლებში გადაეცემათ.

თუ მოსწავლე დარეგისტრირდა ორი ან მეტი უცხოური ენის საგნობრივ ოლიმპიადაზე, ვალდებულია აირჩიოს ერთი უცხოური ენა (ამისათვის მოსწავლემ საკუთარ სკოლას უნდა მიმართოს).

ოლიმპიადის მონაწილეება თან უნდა იქონიოს კალმები!

# სიასლენი სკოლაში დაწესებულებებში

## გვესაუბრება სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ძაცარავა



– დედაქალაქში განხორციელდა ბავშვების ოპტიმიზაციის პროცესი. რა ბედი ეწიათ ოპტიმიზაციის შედეგად უმუშევრად დარჩენილ პედაგოგებს? მაგალითად, 93-ე ბაღში – 9 პედაგოგი დარჩა უმუშევარი, ოქტომბრამდე სუფსიდიას იღებდნენ, ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლის გამო სუფსიდიას შეუწყდათ, რა შესაფერის მათ სანაცვლოდ?

– ოპტიმიზაციის შემდეგ პედაგოგთა ნაწილი იმ ბაღებში დასაქმდა, რომლებიც მათი ყოფილი ბავშვების სამართალმემკვიდრეები გახდნენ. არც ერთი პედაგოგი არ დარჩენილა სამუშაოს გარეშე, ისინი სუფსიდიას დღესაც იღებენ, რომლის შეწყვეტა დამოკიდებულია საბავშვო ბაღის დირექტორზე. საჭიროების შემთხვევაში ბაღის დირექტორს შეუძლია სუფსიდიას მყოფი პედაგოგი გამოიძახოს ბაღში და საჭიროებისამებრ დაასაქმოს.

ბავშვების რეფორმების დაწყებისას (როცა დირექტორების შერჩევა კონკურსის წესით ჩატარდა), იგეგმებოდა აღმზრდელების კონკურსის ჩატარებაც. ობიექტური მიზეზების გამო ეს კონკურსი არ ჩატარდა. ამ ეტაპზე, როცა ხდება საბავშვო ბაღების მართვის დეცენტრალიზაცია, საკადრო საკითხებს ბაღის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. რასაკვირველია, ვაუჩერის პრინციპით დაფინანსება ითხოვს საკადრო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანას.

– კონკრეტულად რამდენი ბაღის ოპტიმიზაცია განხორციელდა და რა კრიტერიუმებით შეირჩა ამისათვის ბავშვები?

– ოპტიმიზაციის შედეგად ბავშვების რაოდენობა შემცირდა 40 ერთეულით და ამჟამად შეადგენს 159-ს. შემცირდა ბავშვები, რომლებიც ფუნქციონირებისათვის სეისმოლოგიურად უვარგისად შეფასდა – სამიში იყო სასწავლო პროცესის ნარმობა. ოთხ ბავშვს ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები, კაპიტალური რემონტი და კვლავ აგრძელებენ ფუნქციონირებას.

ასევე დაიხურა ბავშვები, რომლებშიც დეენილები განთავსდნენ და კომპაქტური ჩასახლების ობიექტებად გამოცხადდა.

– ოპტიმიზაციის შედეგად ზოგიერთ ბაღში საგრძობლად გაიზარდა აღსაზრდელობის კონტინგენტი, შესაბამისად, გაიზარდა ჯგუფებში აღსაზრდელობის რაოდენობაც, დღეისათვის დედაქალაქის ბავშვების უმეტეს ნაწილში თითო ჯგუფში 60-მდე აღსაზრდელია, მშობლების დიდ უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ მრავალრიცხოვან ჯგუფებს ისევ თითო პედაგოგი ემსახურება. არის თუ არა აღსაზრდელობა და პედაგოგთა რაოდენობა შესაბამისობაში დროებითი სტანდარტის (რეკომენდაციები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის) მოთხოვნებთან?

– დაფინანსების ვაუჩერულ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ერთი წლის განმავლობაში ვანარმობით დინამიკურ დაკვირვებას ბაღებში მიმდინარე პროცესებზე. 60-მდე აღსაზრდელი ჯგუფებში არ არის, მაგრამ ბავშვთა რაოდენობა მაინც ჭარბია. ერთ-წლიანი ანალიზისა და კონსულტაციების შემდეგ, მომავალი წლიდან ბავშვებს განესაზღვრებათ ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა. რაც შეეხებათ პედაგოგებს, სტანდარტულად იქნება განსაზღვრული ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორებს შეესაძლებლობა ექნებათ, გააფორმონ დამატებითი ხელშეკრულებები პედაგოგებთან.

– ხომ არ იგეგმება აღმზრდელ-პედაგოგთა რაოდენობის ზრდა და ამ გზით უმუშევარ პედაგოგთა დასაქმება?

– აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა უნდა ისაზღვრებოდეს საჭიროებიდან გამომდინარე. მიგვაჩნია, რომ საბავშვო ბაღებში აღმზრდელობის კვალიფიკაცია არასაკმარისია. მომავალში ვაპირებთ შეფასების გარკვეული კრიტერიუმების შემუშავებას, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მშობელთა შეფასება იქნება და ამის მიხედვით, შესაძლებელია, მივიღოთ გარკვეული საკადრო გადაწყვეტილებები.

– აქვს თუ არა ბავშვთა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის პროგრამით გათვალისწინებული მეთოდური სახელმძღვანელოები? თუ მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა გადამზადება?

– ამ ეტაპზე ბავშვთა არ არსებობს მეთოდური სახელმძღვანელოები. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა გადამზადების რამდენიმე მცდელობა იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა. რა თქმა უნდა, ეს საკითხი დღის წესრიგში დგას.

– ფუნქციონირებს თუ არა დედაქალაქში სპეციალური ტიპის ბავშვები?

– თბილისის 12 ბავშვ-ბაღში (1-ლი, მე-3, მე-6, 145-ე, 155-ე, მე-100, მე-13, 46-ე, მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა, 182-ე, 215-ე და 83-ე ბავშვ-ბაღები), თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ინიციატივით, დაიწყო საპილოტე ინკლუზიური სწავლების დაწესებულება. პროექტს ახორციელებს საქართველოს პორტიფის ასოციაცია (ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა) გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 12 ბავშვ-ბაღის 50 აღმზრდელი, ბავშვთა შეიქმნა ინკლუზიური ჯგუფები, სადაც ამჟამად 30-მდე განსაკუთრებული სავანანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ირიცხება. პროცესის მონიტორინგს ახდენენ ბავშვთა ადრეული განვითარების პედაგოგები.

პროექტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ინკლუზიური განათლების ინსტიტუციური მდგრადობისათვის, რეგულაციების შექმნა. რომელზეც თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, საქართველოს პორტიფის ასოციაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის, საქართველოს საოჯახო მედიცინისა და ბიოეთიკის საზოგადოებას შორის დადებული ოთხმხრივი მემორანდუმის საფუძველზე, მოწვეული ქართველი და უცხოელი ექსპერტები მუშაობენ.

როგორც უკვე ვთხარით, დედაქალაქში არის სპეციალური ბავშვები სმენადაქვეითებული და უსინათლო ბავშვებისათვის. ახალი წლიდან ინკლუზიური სწავლების დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის თბილისის 12 ბავშვ-ბაღში დაიწყება.

– ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში (2007 წლის 10 ოქტომბერი) განაცხადეთ, რომ პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი, უცნაოდ ექსპერტებთან ერთად, მუშაობდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამედროვე სტანდარტზე, მიიღო თუ არა ამ დოკუმენტმა საბოლოო სახე?

– ამ დოკუმენტის შექმნაზე განსაზღვრული იყო 3 წელი და იგი მომავალი წლისათვის უნდა დამთავრდეს.

– წელს სკოლამდელი დაწესებულებები დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადავიდნენ. რა თანხა გამოყოფილი თითოეულ აღსაზრდელზე და საკმარისია თუ არა ეს თანხა, დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით?

– თითოეულ აღსაზრდელზე განსაზღვრული თანხა დამოკიდებულია ბავშვთა რაოდენობაზე. 150-დან 250-მდე ბავშვთა კონტინგენტის შემთხვევაში იგი განისაზღვრება 800 ლარით თითოეულ აღსაზრდელზე. უფრო მცირე კონტინგენტის ბავშვთა შემთხვევაში, ბავშვთა პირველ 250 ბავშვზე იღებენ 800-800 ლარს, ხოლო დანარჩენებზე 700-700 ლარს. დაფინანსების ამ პრინციპზე გადასვლის შემდეგ ბავშვთა ანგარიშებზე გაუჩნდათ სოლიდური თანხები, რომლითაც ბევრი პრობლემის მოგვარებას ახერხებენ. ასე რომ, ჯერჯერობით, ბავშვ-ბავშვების დაფინანსებაში პრობლემები არ შექმნილა, მაგრამ მსჯელობა ამ საკითხზე გრძელდება და საბოლოო გადაწყვეტილება, ბავშვზე გათვლილ ნორმატიულ თანხასთან დაკავშირებით, მომავალი წლისათვის იქნება მიღებული.

– ვაუჩერის მიზანმიმართულად გამოყენება მხოლოდ ბავშვთა ადმინისტრაციის პრეროგატივაა თუ არსებობს კონტროლის მექანიზმი თქვენი მხრიდან. ვინ ანაწილებს ვაუჩერის თანხებს კვებაზე, ხელფასებსა და სხვა დამატებითი საჭიროებებზე?

– პირველი წლის განმავლობაში ბავშვთა ხელმძღვანელები აქტიურად თანამშრომლობენ მერიის საფინანსო სამსახურთან და იღებენ ინსტრუქციებს ბიუჯეტის დაგეგმვისთან დაკავშირებით. მომავალში ბიუჯეტს გაანალიზებენ ბავშვთა ადმინისტრაცია სათათბირო ორგანოსთან ერთად, რომლის შემადგენლობაში შევლენ პედაგოგები და მშობლები, მაგრამ რა თქმა უნდა, პირველი წლების განმავლობაში, მერიის საფინანსო და შესყიდვების სამსახურები გარკვეულ კონტროლს დაანერგებენ ბიუჯეტთან მიმართებაში.

– რიგ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის პრობლემა ისევ პრობლემად რჩება. როდის იგეგმება მასშტაბური ღონისძიებები ამ მი-

მართულებით და, სავარაუდოდ, როდის გვექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები?

– ინფრასტრუქტურის მხრივ პრობლემები ნამდვილად დიდია და მომდევნო ორი წლის განმავლობაში ფიქრობთ ამ პრობლემების მოგვარებას.

– წლების განმავლობაში გრძელდება დავა №41 ბავშვ-ბავშვის შენობის ირგვლივ. პრობლემა სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა მოგვარებულიყო, თუმცა, როგორც ცნობილია, უზენაესი სასამართლო არ ჩატარდა, მიზეზი ჩვენთვის უცნობია. გარდა ამისა, ბავშვთა ახალი სასწავლო წლიდან ფუნქციონირება შეწყვიტა. არაოფიციალური მონაცემებით, იგი ყოფილ №14 ბავშვ-ბავშვის ახლად გარემონტებულ შენობაში გააგრძელებს ფუნქციონირებას. ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას და თუ არა, რა ბედი ეწევა უსაფუძვლოდ, ანუ ოფიციალური დოკუმენტის გარეშე (როგორც ამას ბავშვთა ახალი თანამშრომლები ადასტურებენ) გაუქმებულ ბავშვს? ამ კითხვაზე თქვენი პასუხი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წლების განმავლობაში დაგროვილი ეჭვები ერთხელ და სამუდამოდ გაიფანტოს და საზოგადოებამ შეიტყოს სიმართლე, რა გახდა ნამდვილი მიზეზი №41 ბავშვთა დახურვისა და ვის ეკუთვნის ეს შენობა?

– №41 ბავშვ-ბავშვთან დაკავშირებით დავა სასამართლოში ჩვენმა სამსახურმა წამოიწყო, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, რადგანაც ეს შენობა წინა წლებში იყო გასხვისებული. ჩვენ ვიდავეთ სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციაში, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა დავა წავაგეთ და დღეს ეს შენობა სახელმწიფოს აღარ ეკუთვნის. ამდენად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ ბავშვთა №14 ბავშვთა შენობაში გადაყვანასთან დაკავშირებით. შესაბამისად მოხდა მე-14 ბავშვ-ბავშვის (თოფურის №10) შენობის გარემონტება და ახალი ინვენტარით აღჭურვა. ახალი წლიდან 41-ე ბავშვი ნორმალურად დაიწყებს ფუნქციონირებას.

მომზადდა მამუკა ძაცარავამ

**ასოციაცია „მცოდნელი“**  
**სიასლენი კვლევის სენტრი**

ძვირფასო პედაგოგებო,  
ჩინელ ფილოსოფოსს კონფუციუსს უთქვამს, ვინც სიასლენებისადმი ღიაა და ამავდროულად ძველსაც ელოდება, მას პედაგოგობა შეუძლია.

ასოციაცია „მცოდნელი“ – სიასლენი კვლევის ცენტრი, დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კავშირია, რომელიც აერთიანებს მასწავლებლებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ასოციაცია განათლების სისტემის რეფორმაში აქტიურად ჩართული და საკუთარი საქმიანობით ცდილობს, წვლილი შეიტანოს ახალბედა და გამოცდილი პედაგოგების უკეთ მომზადებასა და რეფორმისთან დაკავშირებაში. ის არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ოფიციალურად 2007 წელს დაარსდა. 2007 წლის ოქტომბერში ასოციაცია „მცოდნელი“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის MCTC (Mount Carmel International Training Center) წევრი გახდა ისრაელში (ქ. ხაიფა), ხოლო 2008 წელს კი შეუერთდა საქალაქო საზოგადოების ლიდერობის ქსელს, CLSN (Civil Society Leadership Network) და აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

„მცოდნელის“ ძირითადი მიმართულება სკოლებში ინტერაქტიური სწავლების მეთოდების დაწესება და პრაქტიკაში განხორციელებაა, ამავდროულად მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ზნეობისა და ეთიკის სწავლებაა, ასოციაცია მუშაობს ტრენინგების, არაღელვარებითი მიგრაციის, ადამიანთა და ბავშვთა უფლებების საკითხებზეც. „მცოდნელი“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახორციელებს ტრენინგებს, კონკურსებს, შეხვედრებსა თუ დისკუსიებს ამ თემების ირგვლივ.

დაინტერესებულ პედაგოგებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეუძლიათ განვერიანდნენ და აქტიურად ჩაებან ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

„მცოდნელის“ მიზანია დაეხმაროს და წარმოაჩინოს ყველა შემოქმედი, წარმატებული და აქტიური პედაგოგები და მოსწავლეები.

ასოციაცია პერიოდულად გამოსცემს შემეცნებით მეთოდურ ჟურნალს პედაგოგებისათვის „მცოდნელი“.

ასოციაცია „მცოდნელი“ ეხმარება პედაგოგებს დროულად მიიღონ განათლების სფეროში არსებული სიახლეები, გაეცნონ დამუშავებულ გაცხადებულ ინტერაქტიური სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, გამოთქვან საკუთარი აზრი და მიიღონ ინფორმაცია მსოფლიოში განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

ჩვენი მიზანია განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მომზადებას სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის და მოვხდინოთ პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაცია. ასოციაციის წევრობა უფასოა, შემოგვიერთდით, ერთად აღვზარდოთ მომავალი თაობა.

დაინტერესების შემთხვევაში მოგვართეთ: ტელეფონი 877 304 307 ან მოგვწერეთ mtsodneli@gmail.com ვებგვერდი: <http://mtsodneli.ge.iatp.net> ; [www.mtsodneli.org.ge](http://www.mtsodneli.org.ge)

ასოციაცია „მცოდნელი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებთ მშვიდობას და წინსვლას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში.

*კეთილი სურვილებით ასოციაცია „მცოდნელის“ პრეზიდენტი მიხეილ ქურდიანი*

# რას ემსახურება ნიშნის გამოყვანის ახალი წესი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 4 დეკემბრის №1103 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ეს ცვლილება ნიშნის გამოყვანის (მათ შორის ტრი-

მეფასდება ყოველი მიმდინარე ნაშთი, რის შედეგადაც მათი შეფასება 9 ქულაზე მაღალი გამოვა. ტრიმესტრული ნიშნის დაზუსტებული წესი სკოლებისთვის ცნობილი იყო სასწავლო წლის დაწყებამდე, რასაც ადასტურებს საქართველოს განათ-

ბა ერთეულის (მთელი რიცხვის) სიზუსტით, საერთო საფეხურის ნიშანი კი, რომელიც ატესტატის (მათ შორის, ოქროს ან ვერცხლის მედალოსანის ატესტატის) გაცემის საფუძველია, გამოითვლება საფეხურის მანძილზე ნასწავლი თითოეული საგნის წლიური ნიშნებით (რომელიც, თავისთავად, სამი ტრიმესტრული ნიშნის საფუძველზე გამოყვანილ მთელ რიცხვამდე დამრგვალებული ქულაა). შესაბამისად, მოსწავლეს შესაძლოა სამივე ტრიმესტრში, თუნდაც ყველა საგანში და თუნდაც საშუალო საფეხურის სამივე სასწავლო წლის მანძილზე ჰქონდეს 10-ზე ნაკლები შეფასება, მაგრამ თუ თითოეულ საგანში სამი ტრიმესტრული ნიშნის საშუალო არითმეტიკული ექნება 9,5 და მეტი, საგნის წლიური ნიშანი იქნება 10 და იგი დარჩება ოქროს მედლის კანდიდატად (ანალოგიურად, ვერცხლის მედლის კანდიდატად დარჩება მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანი იქნება 9,8 და 9,9).

არ განხორციელდა. ჩვენს სკოლაშიც დღემდე ქულებით არის შეფასებული გასული წლის და მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ტრიმესტრის ნიშნები (ერთი კვირაა, რაც მე დირექტორად დავინიშნე), მაგრამ ამ ბრძანების თანახმად ჩატარდა ტრენინგი პედაგოგებთან და შესწორება იქნება, თუკი ტრიმესტრის ნიშანი გამოყვანილია შედეგების მიხედვით.

შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ამ წესის გამოყენებით მოსწავლეს არც ერთი მეთაფი თუ მეთაფი არ ეკარგება და საბოლოოდ სამი ტრიმესტრის შედეგად მაღლდება კიდევ მისი რეიტინგი. მეორე მხრივ, ახალი ბრძანების თანახმად, ქულით ინერება მხოლოდ იმ მოსწავლის ნიშანი, რომელიც საზღვარგარეთ მიდის სასწავლებლად. დანარჩენი, რაც შეეხება ზღვარს, დაკონკრეტებულია, კიდევ უფრო შემცირებულია, ანუ 5,5 დაყვანილია 5,1 მეთაფამდე, აქაც საკითხი ბავშვის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი, აქამდე თუ მოსწავ-

ში ჩარჩენას, მათ შეუძლიათ აღდგენა გააკეთონ, ესეც სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილია, რომელსაც, როგორც გითხარით, წლის დასაწყისში განსაზღვრავს სკოლა. ანუ, ჩამორჩენილ მოსწავლეს ეძლევა მასალა, რომელსაც აბარებს პერიოდულად და აღადგენს ნიშანს, ასევე, შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. სამედიცინო, ანუ ზაფხულის დავალებები, მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში უნდა იყოს უცვლელად, ასეთი შემთხვევებისათვის განსაზღვრული გარკვეული ფორმა.

**ნინო ჩოქოვანი**, 30-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „ეს არის ბავშვის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილება, რადგანაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. მოსწავლეს, რომელსაც მიმდინარე შეფასება აქვს 7 ქულა, მასაც კი აქვს შანსი გამოსწორების შემთხვევაში გახდეს მედლის კანდიდატი.“

**თემურ კიკნაძე**, 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „ქულების საკითხს გავიხსენებდი სახე მიეცა. ჩვენ შევხვდით მინისტრი და ყველაფერი გაირკვა. ახსნა-განმარტებები მივიღეთ, არაფერი მოსწავლეს არ აკლდება, პირიქით ასეთი მეთოდი კიდევ უფრო გამართული სახეა, გაუმჯობესებული და უფრო დახვეწილი მეთოდი. მიმაჩნია, რომ ეს დოკუმენტი არეგულირებს ყველაფერს. უბრალოდ, თავდაპირველად, პედაგოგებმა, რატომღაც სირთულედ მიიჩნიეს ათეულებში და ასეულებში ქულების გამოყვანა, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და იმის საშიშროება, რომ მედალოსნები და ათოსნები არ გვეყოლება, ნამდვილად არ გვეშურება.“

**ამირან ჯამაგიაძე**, მე-60 საჯარო სკოლის დირექტორი: „შეფასების ახლად შემოთავაზებული სისტემა შეიძლება დასათვლელად იყოს ძნელი, მაგრამ ამ სისტემით დაანგარიშებული ნიშანი ნამდვილად უფრო ობიექტური იქნება. მოსწავლე მეთაფა და ცუდი, რადგან ნიშანი უფრო ტყეადი გახდა. ადრე, დაახლოებით, ერთი ქულა მაინც იკარგებოდა, ახლა შეფასება 5 მეთაფის სიზუსტით მრგვალდება.“

## ეს ცვლილება/დაზუსტება ემსახურება მიზანს, რომ მოხდეს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების მაქსიმალურად ობიექტური შეფასება

მესტრულის) წესის დაზუსტებას ეხება. მინისტრის განცხადებით, ახალი მექანიზმით მოსწავლეს არც ერთი მეთაფი ქულა არ ეკარგება და ნიშანი ობიექტურად ასახავს მის ცოდნას. დირექტორებს დაევალოთ, აღნიშნული ცვლილების არსი ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს სწორად და დეტალურად აუხსნან, რათა ამ თემასთან დაკავშირებული გაუგებრობა საბოლოოდ აღმოიფხვრას.

მიუხედავად ამისა ცალკეულ შემთხვევებში, ეს დაზუსტება და არა ცვლილება, მაინც გაურკვეველი დარჩა, მეტიც, მასწავლებლებს და მოსწავლეებს საახალწლო ციხე-ციხელებად ექცათ. ცვლილების არსი აღქმულია, როგორც ნიშნის გამოთვლის წესის მოსწავლეთა საზიანოდ გამკაცრება. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებაც, თითქოს, ეს ყველაფერი მედალოსანთა რაოდენობის შესამცირებლად გაკეთდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კი ამ ცვლილებას ასეთ შეფასებას აძლევენ: ეს ცვლილება/დაზუსტება ემსახურება მიზანს, რომ მოხდეს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების მაქსიმალურად ობიექტური შეფასება.

წარმატებული მოსწავლეები, რომლებიც შეფასებული იყვნენ 9,1, 9,2, 9,3 ან 9,4-ით, ცვლილებამდე, დამრგვალებულ ქულას – 9-ს იღებდნენ. ცვლილების შემდეგ კი ტრიმესტრული ნიშნის მთელამდე დამრგვალების შემთხვევაში, მათ არც ერთი მეთაფი აღარ დაეკარგებათ.

ლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 10 აგვისტოს №593 ბრძანების მე-2 დანართით განსაზღვრული მოსწავლეთა გაცვეთილზე დასწრების აღრიცხვის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საკვალდებულო რეკვიზიტად შეტანილი „ტრიმესტრული ნიშნის გამოყვანის წესი“. თუმცა მისი განხორციელება, ბუნებრივია, ტრიმესტრის ბოლოს მოხდებოდა და, სავარაუდოდ, ალბათ, ამიტომაც აღიქვა ეს სიახლე მოსწავლემაც და მასწავლებელმაც ასეთი მდგომარეობით.

ძირითადი უკმაყოფილება მაინც მედლის კანდიდატ მოსწავლეთა შორის გაჩნდა. მათი ვარაუდით მეთაფამდე დამრგვალებული ტრიმესტრული ნიშანი მედლის დაკარგვის საფრთხეს შეუქმნით. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერია, რომელიც განმარტავს, თუ ვისზე გაცივმა მედალი. კერძოდ, ის ნაწილი სადაც მითითებულია, რომ „პირი, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ნიშანია 10, დამრგვალების გარეშე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს“. კანდიდატთა უსაფუძვლო შიშს ისევ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტება გაფანტავს: ტრიმესტრული ნიშანი, რომელიც ნაკლებია 10-ზე (ანუ არ არის 10 დამრგვალების გარეშე და არის 9,5 და მეტი) არ შეამცირებს მედალოსანთა რიცხვს, რადგან საგნის წლიური ნიშანი მრგვალდ-

## თუ მოსწავლეს თითოეულ საგანში სამი ტრიმესტრული ნიშნის საშუალო არითმეტიკული ექნება 9,5 და მეტი, საგნის წლიური ნიშანი იქნება 10 და იგი დარჩება ოქროს მედლის კანდიდატად

**საინტერესოდ მივიჩნიეთ, აზრი გამოეთქვათ სკოლის დირექტორებს ნიშნის გამოყვანის წესის დაზუსტების შესახებ**

**თამარ გაგოშიძე**, 191-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №1103-ის თანახმად შევიდა ცვლილება ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემაში. თუმცა, ეს ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ადრეც იყო. გასული წლიდან, ფაქტობრივად, მეთაფების სიზუსტით ინერებოდა ტრიმესტრული ნიშნები. რატომღაც ყველა სკოლაში ეს

ლეს 5,5-ზე მეტი ქულა არ ექნებოდა ვერ გადავიდოდა შემდეგ კლასში, ახლა ეს ზღვარი დაწეულია 5,1 მეთაფამდე.

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში წარადგენს სასწავლო გეგმას სამურვეო საბჭოს წინაშე, შემდეგ მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სწორედ მასშია გათვალისწინებული ჩვენი მთელი წლის მუშაობა. ჩემი აზრით, სირთულე არაფერია, რადგანაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველაფერი ეს გათვალისწინებული იყო, უბრალოდ, არ ხორციელდებოდა, განსხვავებით უცხოეთში სწავლის გარეშე მსურველი ბავშვების შეფასებისგან. რაც შეეხება მოსწავლეთა კლას-



# შავი ზღვის

## საერთაშორისო უნივერსიტეტი

ასხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

<p><b>გიზანის მართვის ფაკულტეტი:</b></p> <p>სრული პროფესორი – 17 ვაკანსია          ასოცირებული პროფესორი – 7 ვაკანსია          ასისტენტ-პროფესორი – 13 ვაკანსია</p> <p><b>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:</b></p> <p>სრული პროფესორი – 14 ვაკანსია          ასოცირებული პროფესორი – 9 ვაკანსია          ასისტენტ-პროფესორი – 9 ვაკანსია</p> <p><b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:</b></p> <p>სრული პროფესორი – 6 ვაკანსია          ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია          ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია</p>	<p><b>განათლების ფაკულტეტი:</b></p> <p>სრული პროფესორი – 1 ვაკანსია          ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია          ასისტენტ-პროფესორი – 5 ვაკანსია          მკვლევარი ასისტენტი – 1 ვაკანსია</p> <p><b>კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი:</b></p> <p>სრული პროფესორი – 7 ვაკანსია          ასოცირებული პროფესორი – 7 ვაკანსია          ასისტენტ-პროფესორი – 6 ვაკანსია</p>	<p>აკადემიური თანამდებობების შესაბამისი საპროფესორული შინაგანი დასახელებით ინფორმაცია იხილეთ გვერდით „ახალი განათლება“ ვებ-ნომერსა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <a href="http://WWW.IBSU.EDU.GE">WWW.IBSU.EDU.GE</a></p> <p><b>მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>ფოტოსურათი;</li> <li>დიპლომის ასლი;</li> <li>განცხადება;</li> <li>პუბლიკაციების ქსეროასლი.</li> </ol> <p>საბუთები მიიღება 2010 წლის 25 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით</p> <p>დაამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 59 50 05 (131)</p> <p>საკონტაქტო პირი: პროფ. დოქტ. ნათელა დოლონაძე</p>
---	--	--



# იქ, სადაც მშვიდობაა, სისოსხლე უნდა ჩქოფდეს

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მშვიდობა და ჰარმონია“ ერთად, განხორციელა სამდღიანი პროექტი „მე და მშვიდობა – არა ძალადობას“. მონაწილეობდნენ კონფლიქტის ზონაში მყოფი და საქართველოს სხვა რეგიონებში განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები, სულ – 30 მოზარდი (კონფლიქტის ზონიდან – 9). პროექტის მიზანი იყო გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრები ბავშვების დამეგობრება ენგურგამოლმა მყოფი აფხაზეთის სკოლების მოსწავლეებთან, ასევე ამ მოზარდებში სამშვიდობო ხედვის, ჰუმანური ღირებულებებისა და პრინციპების ჩამოყალიბება.

პროექტის პირველი დღე „ბარბარობას“ დაემთხვა. მოსწავლეები სამების ტაძარს ესტუმრნენ, მათ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე შეხვდა.

მეორე დღე – ექსკურსია საქართველოს პარლამენტში. პროექტის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, პარლამენტის სხდომას დასწრებოდნენ. შემდეგ საქართველოს ხელოვნების მუზეუმი დაათვალიერეს და დღე მცხეთაში ექსკურსიით დაასრულეს.

მესამე დღეს, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ეროვნულ გალერეაში გაიმართა პროექტის ფარგლებში მომზადებული შემოქმედებითი ნამუშევრებისა და ნახატების გამოფენა, თემაზე – „მე და მშვიდობა – არა ძალადობას“. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა სურათების გალერეაში, 1994 წლიდან, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ნამუშევრთა არაერთი გამოფენა გამართულა – „არა ომს, არა ძალადობას“, „სახლი, რომელიც მესიზმრება“, „ჩემი აფხაზეთი“, „მეგობრობის მატარებელი – თბილისი-სოხუმი“ და სხვ.

გამოფენა-კონკურსში „მე და მშვიდობა – არა ძალადობას“ 300-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. მომზადდა 156 მხატვრული ნაწარმოები (ლექსი, მოთხრობა, ჩანახატი, ესეი, პუბლიცისტური ნარკვევი) და შეიქმნა 220 ნახატი. ბავშვთა სურათების გალერეაში გამართულ გამოფენა-პრეზენტაციაზე საუკეთესო ნამუშევრები ნარმოადგინეს ავტორებმა.

**მედეა კვარაცხელია**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების სამმართველოს უფროსი: „მესამე დღე, კონკურსის მონაწილეებისათვის საინტერესო პროგრამა ხორციელდება. დღეს დასკვნითი დღეა. მოგვხსენებთ, კონკურსის თემა იყო „მე და მშვიდობა“. აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი ნაზრები გამოეხატათ თხზულებით, ლექსით ან ნახატით. ყველა ნამუშევარი ყურადღებით იქნა შესწავლილი და გამარჯვებულები გამოვლინდნენ. მათ დღეს დააჯილდოვებენ.“

**ლეილა გოლეთიანი**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპეციალისტი: „ეს პროექტი სამშვიდობო განათლების ფარგლებში მომზადდა. გადავწყვიტეთ, მოსწავლეთა სამშვიდობო თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა მოგვეწყო, ასევე, ლიტერატურული ნამუშევრების პრეზენტაცია. კონკურსში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მოსწავლეებმა. ჩამოვიდნენ ენგურს გალმა მცხოვრები მოზარდები, ასევე ზუგდიდსა და ჩხოროწყუში მდებარე, აფხაზეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების მოსწავლეები. ისინი თბილისელ თანატოლებთან ერთად მონაწილეობდნენ სამდღიანი პროექტში. ყველაზე მეტად ბავშვები პატრიარქთან სტუმრობით დარჩნენ კმაყოფილი.“



დევი ლაცუზბაია, ნინო ხუფენია, ვერიკო თაკალანძე



თამარ საბაური



დავით ელერჯია და მისი ნამუშევარი „გზა სოხუმისაკენ“

საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ჩვენი ბავშვები ლოცვაში მოიხსენია და ფულადი საჩუქარიც – 1000 ლარი – გადასცა.

იმედი მაქვს, დღევანდელ გამოფენა-პრეზენტაციაზე მოსული სტუმრები უკმაყოფილონი არ დარჩებიან.“

### კონკურსის მონაწილეები

**მაია კვიციანი**, აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა: „საკონკურსოდ დაფინანსებული პროექტი „მე და მშვიდობა“, რომელშიც ყველას მოვუწოდებ გავერ-

თიანდეთ, დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები და ერთად დავბრუნოთ აფხაზეთი. ძალიან კმაყოფილი ვარ, პროექტში რომ ვმონაწილეობ. სამდღიანი საინტერესო პროგრამა გამოფენა-პრეზენტაციაზე მნიშვნელოვანი პატრიარქთან შეხვედრა იყო.“

**ბადრი ცხომარია**, აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა: „დავწერე თემა „მე და მშვიდობა“, რომლის პრეზენტაცია დღეს უნდა მოვახდინო. ძალიან მიხარია, აფხაზეთის სკოლების მოსწავლეებს საშუალება რომ მოგვცა ჩვენი აზრები თანატოლებს და

უფროსებსაც გაუზიაროთ.“

**მაია გერლიანი**, აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა: „ჩემი თემაა „ომი და მშვიდობა“. კონკურსის თემატიკა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან აქტუალურია და ამდენად საინტერესო იყო ამ კონკურსში მონაწილეობა. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ ბევრი თანატოლი გავიცანი.“

**ვერიკო თაკალანძე**, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას პირველი საშუალო სკოლა: „იყო შემთავაზება, მიგველო მონაწილეობა კონკურსში „მე და მშვიდობა“. გამიხნდა სურვი-

ლი, დამენერა ის, რასაც აფხაზეთის ომზე ვფიქრობდი. აღვწერე ჩემი თვალთუხაზი მშვიდობა.“

**ნინო ხუფენია**, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას პირველი საჯარო სკოლა: „მეც, ვერიკოს მსგავსად, აფხაზეთში არსებული მდგომარეობა აღვწერე, თან ჩემი სურვილები და ოცნებები გავამხილე. ჩემი სურვილია, ქართველმა და აფხაზმა ბავშვებმა ერთად ავაფორიალოთ საქართველოს სახელმწიფო დროშა აფხაზეთში.“

**დევი ლაცუზბაია**, აფხაზეთის №8 საჯარო სკოლა: „სკოლაში კონკურსის შესახებ რომ გამოაცხადეს, მომიხდა ჩემი ნამუშევრებიც გამეჩატანა. ნარვადგინე მოთხრობა და ნახატი. ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვე.“

**დავით ელერჯია**, აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა: „ძალიან საინტერესო პროექტი იყო. საკონკურსოდ თემაც დაფინანსდა და ნახატიც მოვამზადე. დავხატე სოხუმისკენ მიმავალი გზა.“

გამოფენა-პრეზენტაციაზე კონკურსის მონაწილეებმა საკუთარი ნამუშევრები წაიკითხეს. სტუმრები ნახატების ექსპოზიციასაც გაეცნენ. პროექტის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: **გია გვაზავამ**, ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; **დალი ზომერიკმა**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა; **ლია გორგოძემ**, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორმა; **პოეტმა გენო კალანდიამ**; **ნელი ნიკუაჩემ**, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წარმომადგენელმა; **ზაურ კალანდიამ**, ფურნელ „ცისკის“ რედაქტორმა და სხვ. ბატონმა გენომ გამარჯვებული ლექსის ავტორ მოსწავლეს საკუთარი ლექსების კრებული უსახსოვრა.

პროექტის ყველაზე პატარა მონაწილეს – 7 წლის **თამარ საბაურს** სპეციალური პრიზი გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიის დასრულების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ნახატების გამოფენა 30 დეკემბრამდე გაგრძელდება. აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, სპეციალური განრიგის მიხედვით, ექსპოზიციის უფასოდ დათვალიერება შეეძლება.

**ლალი თვალაბიშვილი**

გთავაზობთ ბალის რაიონის სოფელ ოტობაიას №1 სკოლის მერვეკლასელების – ნინო ხუფენიასა და ვერვიკო თაქალანდის საკონკურსო ნაშრომებს.

\* \* \*

მე აფხაზეთთან დაკავშირებული ტვივილის მემკვიდრე ვარ. ყველა ჭრილობა, ყველა დარდი და სევდა ჩვენს თაობას უფროსებისაგან მემკვიდრეობით გვერგო. გაფაციცებით ვიხედები ირგვლივ და ვერ ვხედავ ბავშვს, რომელიც თითქოს მარადიულად ქვეული სევდისაგან დაღდასმული არ დაიარებოდეს. მშვიდობის შესახებ მხოლოდ უფროსების ნაამბობით ვიცი, არადა, ხომ შეიძლება, ომზე მხოლოდ იმდენი გვეცოდნოდეს, რამდენსაც უფროსები მოგვიყვებოდნენ და კინოფილმებში ვნახავდით. ვერ ვერკვევი მშვიდობის არსში, რამეთუ ჩვენ მხოლოდ მისი დამახინჯებული ვარიანტი შემოგვრჩა ხელთ ძმათამკველელი ომის შემდეგ.

ჩვენთან მშვიდობას ისეთ მდგომარეობას უწოდებენ, როდესაც უდანაშაულო მოსახლეობის დანიშნულებისგან დაღლილი რუსი და აფხაზი ჯარისკაცები ცოტა ხნით გაეცლებიან ჩვენს სოფელს, რათა ისინი სხვა „დამშულმა“ ჯარისკაცებმა ჩაანაცვლონ. დროის იმ მონაკვეთს, რომელიც ესაჭიროება ერთი შენაერთის მეორეთი ჩანაცვლებას, ჩვენთან მშვიდობას ეძახიან. ეს დამახინჯებული წარმოდგენა მშვიდობაზე სულს მიფორიაქებს.

დღეს ჩვენს სოფელში თითქმის ყველა მოსახლე დაბრუნდა, მაგრამ სიცოცხლე მაინც ჩამკვდარია, აქ

სიცოცხლე მაშინ მოკვდა, როდესაც ძმა ძმას ტყვიით დაუპირისპირდა, როდესაც შეშინებული ხალხი ენგურის ხიდისკენ მიმავალი მანქანების სამ-ოთხ კილომეტრიან უწყვეტ ჯაჭვს შეუერთდა, მიანვა, მერე სუნთქვაც გაუჭირდა და, ბოლოს, საკუთარ სამშობლოში დევნილი, ლტოლვილის სტატუსით სარგებლობს დღემდე.

რა ხდება თქვენკენ, ხომ მშვიდობაა? – მეკითხებიან გაღმა გასულს და ძალიან მწყდება გული ამაზე. თითქოს მთელმა საქართველომ ვალი მოიხადა ჩვენს წინაშე და ზურგი შეგვაცქია, დაივიწყა ჩვენი არსებობა. მხოლოდ ზოგჯერ თუ გავახსენდებით ხოლმე, როდესაც საღამოს, ტელევიზორთან თავშეყრილი, გაოგნებულები უყურებენ მორიგ რეპორტაჟს გალის ქართული მოსახლეობის ანიოკებისა და შევიწროების შესახებ. ეს ამიოხრებენ და მერე ყველაფერი ისევ ისე ჩვეულებრივად გრძელდება, როგორც აქამდე იყო. ასე იზრდება ჩვენი თაობა, ჩვენამდე კიდევ რამდენიმე თაობა გაიზარდა ამ ვითომ „მშვიდობაში“ და, ეჭვი მაქვს, რომ უახლოეს მომავალშიც ასე გაგრძელდება. გინდათ იცოდეთ, როგორი წარმომადგენელია მშვიდობა ჩემს სოფელში? – პირველ რიგში, აფხაზური და რუსული დროშის გარეშე, სადაც მშვიდობაა, სიცოცხლე უნდა ჩქევდეს, სოფლის ორღობეს

ბავშვების ჟრიამული უნდა ავსებდეს, დაღამებას შიში არ უნდა მოჰქონდეს, ახალგაზრდობა აქედან არ უნდა გარბოდეს!..

მზე არასოდეს ჩაქრება იმ ცაზე, რომლის ქვეშ მშვიდობა სუფევს. ეს ყველაფერი კი ვარსკვლავით შორსაა ჩვენგან, მაგრამ გული ხომ ის ბუდეა, საიდანაც ბარტყით აფრინდება ხოლმე იმედი, ოცნება და რწმენა მშვიდობაზე და ჩნდება დაუოკებელი სურვილი – ასეთ ქვეყანაში იცხოვრო!

არ მინდა დავიჯერო, რომ დაღუპული ჯარისკაცების სისხლი ამაოდ დაენთხა დედამიწას, მათი აჩრდილები ალბათ ჩვენთან არიან მუდამ, ბოპოქრობენ მათი სულები და მაშინ მინდა ის ყურით შეიძლება მოისმინო, როგორ საუბრობენ ისინი იმ იდეალებზე, რომლებსაც შეეწირნენ – ერთიანობაზე, მშვიდობაზე და სიყვარულზე.

ჯერჯერობით, მე და მშვიდობა შორი შორს ვართ, მივისწრაფვით ერთმანეთისკენ, ზოგჯერ ვუახლოვდებით, ზოგჯერ კი ვშორდებით ერთმანეთს, მაგრამ მჯერა, რომ შევიყრებით და არა ოდესმე, არამედ...

ვერიკო თაქალანდე

\* \* \*

სოფელი, სადაც ვცხოვრობ, კონფლიქტის ზონად იწოდება და ქართველებს აქ ყოფნის უფლება არა გვაქვს. ჩემმა მშობლებმა დანარჩენებით თავი გასწირეს და დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ კვლავ შეძლებენ დანგრეული ბუ-

დის აშენებას. დიდ-პატარას ნატერა მშვიდობაა, რაც საოცრად გვეჭირდება. მშვიდობა განსაკუთრებით მაშინ მახსენებს თავს, როცა სახლთან ახლოს ავტომობილი კაკანებს, ხშირად ავტომობილის ხმაც მავრთხობს, რადგან ამ ტრანსპორტით აქ მხოლოდ აფხაზები გადაადგილდებიან, ჩვენები კი – მამაპაპისეული ურმებით დადიან.

ცუდია, რომ ადამიანებს მშვიდობის მოსაპოვებლად ბრძოლა გვინევს. სამშობლოს დასაცავად მსხვერპლი ჩემმა სოფელმაც გაიღო. ომში ბევრი წავიდა, ზოგი ვერ დაბრუნდა. ბევრიც ომის შემდეგ საკუთარ სახლში დახვრიტეს. მინდა მთელი მსოფლიოს გასაგონად ვთხოვო უფროსებს, რომ ჩვენ, ბავშვებს, მშვიდობიან ზეცას ნუ მოგვანატრებენ. ომი რომ არა, ბედნიერი ბავშვობა გვექნებოდა, შეგვეძლებოდა უშიშრად და ლაღად გვეცხოვრა. სამწუხაროდ, დაგვემსხვრა ოცნებები, სურვილები, ერთი ხელის მოსმით დაგვეგრა ის, რაც ჩვენს წინაპრებს უშენებიათ. ცისფერი ზეცა და სიმშვიდე გვენატრება...


გზა, რომლითაც სახლიდან სკოლამდე ყოველდღე დავდივარ, აფხაზურ საგუშაგოზე გადის. ადრე აქ რუსები იყვნენ, ბავშვებს არ გვერჩიან, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ჩვენ გვემინია. ამასწინათ, საკონტროლო წერა გვექონდა. სკოლასთან ახლოს სროლა ატყდა, შიშისაგან ხელები აგვიკანკალდა და წერა შევწყვიტეთ, მასწავლებელმა გაგვამხნევა. თუმცა მისი გაფითრებული სახის დანახვამ უარესად დაგვაფრთხო.

ასე დიდხანს არ გავრძელებულა, მაგრამ ეს შემზარავი წუთები იყო. მალე მშობლებმა მოგვაკითხეს. ასე შიშის ქვეშ გვინევს სწავლა, მაგრამ მაინც ვინარჩუნებთ ქართველურ სიმხნევს და არ ვუშინდებით მტერს. ვგრძნობ, რომ ჩვენი ბავშვობა არ ჰგავს სხვისას, ვოცნებობ, ჩვენს სკოლაშიც ფრიალებდეს საქართველოს დროშა... ნეტავ როდის?!. მინდა თამამად შემეძლოს თქმა, რომ „მე ვარ ქართველი“ და მდამყებოდეს, რომ საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხის შვილი ვარ!

ჩემს სოფელთან ახლოს განმუხურის პატრონოტული ბანაკია, რომელიც აგვისტოს ომის დროს რუსებმა გადანვეს, მაგრამ ქართველებმა ისევ ალაღვინეს ევროპულ დონეზე. ეს ჩვენთვის დიდი იმედია და გვარწმუნებს, რომ ასე განახლება და აყვავდება აფხაზეთიც. მთავარია, უფროსები შერიგდნენ და მშვიდობაც დაისადგურებს. შევძლებთ სტუმრებს ენგურს გაღმა საქართველოდანაც ვუმასპინძლოთ და ამ მინაზე ქართველებმაც და აფხაზებმაც, ყველამ ერთად ავაფრიალოთ საქართველოს დროშა, როგორც ეს თამარის დროს იყო! ვისურვებდი, რომ ჩემთვის მშვიდობა ისეთივე ბუნებრივი იყოს, როგორც ჰაერი, წყალი, რომ არ შენატრებოდეს მუდმივად ისე, როგორც შენატრება ახლა, მინდა მე და მშვიდობა მარადიულად ვიყოთ ჩემს სათაყვანებელ სამშობლოში, საქართველოში! მამინდა გავიხარებ!

ნინო ხუფენია

ლიტერატურული კონკურსი



ჯაბა ზარქუა, ალექსანდრე ლორთქიფანიძე

წლის დასასრულს კიდევ ერთი „ალუბლობა 2009“ მიიღო ქართველმა მკითხველმა – ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსის მონაწილეთა მორიგი ალმანახი. კონკურსის ორგანიზატორი, ტრადიციულად, კონკურსის „ახალი ხელოვნება“ (დირექტორი რუსუდანი ოატ, კოორდინატორი ლიკა მეგრელიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი მანანა ბეგიაშვილი). სიახლე ისაა, რომ ამჯერად, კონკურსის სრული ფინანსური მხარდაჭერა, კრებულის გამოცემის ჩათვლით (29250 ლარი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაუწია. გაიზარდა მონაწილეთა გეოგრაფია და ასაკი – წლებადეულ კონკურსში 15-22 წლის 700-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ოთხი არასრულწლოვანი მსჯავრდებული და 6 უცხოეთში (კანადა, ბელგია, რუსეთი, საინგილო) მცხოვრები ქართველი.

20 დეკემბერს სამედიცინო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში

კონკურსში გამარჯვებულები და ნომინანტები შეიკრიბნენ. საპრიზო ადგილების მფლობელებს პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს: განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, მერაბ ჩოხუამ.

კონკურსის ფიურის გადაწყვეტილებით, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

პროზა

I პრემია – ჯაბა ზარქუა – „კვილი“; II პრემია – სოფია კენჭიაშვილი – „შავით თეთრზე ანუ ცხოვრების წამზომი“;

III პრემია – ირაკლი ისაკაძე – „ისევ გაეჭრა“.

პოეზია

I პრემია – ალექსანდრე ლორთქიფანიძე – ტრილოგია;

II პრემია – სოფო მიქიაშვილი – „დალაქის პარადოქსი“;

III პრემია – სალომე შენგელიძე „უკაცო სახლი“.

ნომინაციებში: მედიტაციური პროზა, მონოლოგი, დიალოგი, მშობელთა საკითხავი, ფანტასტიკა, ორონიული ლიმილი, საშიში მოთხრობა, ორიგინალური მეტაფორები, აფსურდი – ყოყმანი გამარჯვებულად ცნო კონკურსის 11 მონაწილე, ხოლო წამახალისებელი პრიზები, 22 ქართველ მონაწილესთან ერთად, ეროვნებით არაქართველ მონაწილეებს: ასთიკ ალვანჯიანს, ზოია ბეზოიანს და ვალერია წარუკიანს გადაეცა. დიასპორასთან ურთიერთობის სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან წამახალისებელი საჩუქრები მიიღეს მოსკოვში, საინგილოში, ბელგიაში, გერმანიაში და კანადაში მცხოვრებმა ქართველმა კონკურსანტებმა.

უკვე მესამე წელია, ლიტერატურულ კონკურსში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიც მონაწილეობენ: ალექსანდრე ახალკაცი, ბაგრატ უდენტი, დავით ზარიძე და ზურაბ თურმანიძე (ამჟამად თავისუფალია) წიგნების სასაჩუქრე 100-ლარიანი ბარათებით დაჯილდოვდნენ.



ასთიკ ალვანჯიანი და მისი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი კლარა ფოცხვერაშვილი, ნინო ხუფენიას რაიონის სოფ. ფოკა

რაც შეეხება კონკურსში მონაწილეთა და გამარჯვებულთა შემოქმედებას, ფიურის ერთ-ერთი წევრის, ლევან გიგინიშვილის აზრი ასეთია: „საქართველოში, ახალი თაობის მწერლებში, რაღაც ნიჭიერი დულილია, რომელიც მნიშვნელოვან-

ნი ცვლილებებისა და განვითარების მათხვედრია, ჩემს შესავალსაც ამ კრებულის ერთი ძალიანი ორიგინალური მინიატურის სიტყვებით ვახსენებ: „გამარჯობა! ჩვენც მსოფლიოსკენ მივდივართ!“

ანა ფირცხალაიშვილი

# XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან



რუბრიკას უძღვება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბილა ნიფურიანი

## ფუტურისტი

ფუტურისტი პირველი ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომელმაც XX საუკუნის ლიტერატურაში მოდერნიზმის ფარგლებში დასაბამი მისცა ავანგარდიზმს, როგორც რადიკალურ მოვლენას, მიმართულს ტრადიციული კულტურის ზეგავლენა. ეს კულტურული ფასეულობანი იმდენად მძიმე ტვირთად დაანვა XX საუკუნის დამდეგის ახალგაზრდულ ხელოვნებას, რომ საერთოდ უარი განაცხადეს მის ზიდვაზე, გაითავისეს რა მოდერნიზმის მიერ უკვე მოპოვებული უფლება ტრადიციასთან დაპირისპირებისა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ფუტურისტი იმდენად უკიდურესი ფორმით განახორციელა ეს პრინციპი (ისევე, როგორც მოდერნიზმისაგან, სიმბოლიზმისგან მემკვიდრეობით მიღებული ყველა სხვა მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპი), რომ ტრადიციულ ლიტერატურაზე აღზრდილ მკითხველს დღესაც, XX საუკუნის მინურულსაც კი, უჭირს ფუტურისტი მის, როგორც პოეზიის, აღიარება. მეორე მხრივ, ალბათ, ასეთი იყო თავად ფუტურისტთა სურვილიც – დაერღვიათ ყველა ის ნორმა და კრიტერიუმი, რომელიც სულიერი კულტურის მომხმარებელთა უმრავლესობისათვის შეადგენენ თავად ცნებას „ხელოვნების ქმნილებისას“ (აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს პრინციპი იქცა შემდგომში განმსაზღვრელად მთელი ავანგარდისტული ხელოვნებისათვის).

ამგვარად დაუპირისპირდა ფუტურისტი ნარსულს და თავის უმთავრეს ლოზუნგად აღიარა მომავლისაკენ სწრაფვა, რაც თავად სახელწოდებაშიც არის იმთავითვე გამოხატული („ფუტურუმი“ ლათინურად „მომავალს“ ნიშნავს).

ფუტურისტთა პირველი დაჯგუფება ჩამოყალიბდა იტალიაში, მილანში. მისი სულისჩამდგმელი იყო ფილიპო ტომაზო მარინეტი – უალრესად ექსტრავაგანტული ფიგურა ლიტერატურის ისტორიაში. 1909 წლის 20 თებერვალს, პარიზულ გაზეთში „ფიგარო“, მან გამოაქვეყნა „ფუტურისტი პირველი მანიფესტი“. შემდგომშიც, ორგანიზატორულ საქმიანობასა და პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად, მარინეტი აქვეყნებდა ახალ-ახალ თეორიულ მანიფესტებს: „მოკლათ მთავრის ნათელი“ (1911); „ფუტურისტი ლიტერატურის ტექნიკური მანიფესტი“ (1912); „სინტაქსის რღვევა – ნარმოსახვა სადენების გარეშე – განთავისუფლებული სიტყვა“ (1918). ფუტურისტი თეორია ჩამოყალიბდა, აგრეთვე, მხატვრების – უ. ბოჩინისა და კ. კარას, კომპოზიტორ ბ. პრატელას მანიფესტებში. იტალიელ ფუტურისტთა შორის უნდა დავასახლოთ ვ. პანინი და ა. სოფიჩი (რომელთა ხელმძღვანელობითაც ფლორენციაში 1913-1915 წლებში გამოდიოდა ჟურნალი „ლანჩეტა“ (დ.პ. ლუჩინი, პ. ბუცი, ა. პალაცესკი, კ. გოვონი).

ფუტურისტი თეორია მომხრეები ჰყავდა ევროპულ ლიტერატურაშიც, მაგრამ განსაკუთრებით თავისთავად განვითარდა ეს მიმდინარეობა რუსეთში. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსული ფუტურისტი საკმაოდ განსხვავდება იტალიური პირველსახისაგან. განსხვავებულ პრინციპებს აღიარებდა სხვადასხვა დაჯგუფება რუსული ლიტერატურის ფარგლებშივე. ორი მნიშვნელოვანი ფუტურისტული გაერთიანება რუსეთში შექმნეს პეტერბურგელმა „ეგოფუტურისტებმა“ და მოსკოველმა „კუბოფუტურისტებმა“. პეტერბურგის ჯგუფში გაერთიანდნენ ი. სევერიანინი, ი. იგნატევი, კ. ოლიმპოვი, ვ. გენდლოვი. მათი პირველი განაცხადი იყო იგორ სევერიანინის „ეგოფუტურისტი პროლოგი“. მოსკოველმა კუბოფუტურისტებმა მოღვაწეობა დაიწყეს კრებით „ალიყური საზოგადოებრივ გემოვნებას“ (1913 წ.) დაჯგუფებაში ერთიანდებოდნენ ძმები ბურლიუკები, ვ. ხლბენიკოვი, ა. კრუჩონიხი, ვ.

კამენსკი, ბ. ლივშიცი და რაც მთავარი, ვ. მაიაკოვსკი (თავდაპირველად ამ ჯგუფს ეწოდებოდა „გილეა“). 1913-14 წლებში მოსკოვში არსებობდა ფუტურისტი ე.ნ. შუალედური ჯგუფი „ცენტრიფუგა“, რომლის ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები იყვნენ ბ. პასტერნაკი და ნ. ასეევი. 1917 წლის ბოლშევიკურმა რევოლუციამ, რუსეთის მთელ ინტელიგენციასთან ერთად, გაფანტა ფუტურისტთა დაჯგუფებანიც. რამდენიმე მათგანმა (ი. ზდანევიჩი, ი. ტერენტიევი, ა. კრუჩონიხი) თავი შეაფარა თბილისს და აქ ჩამოაყალიბა ჯგუფი „41“. ქართველ ფუტურისტთა გაერთიანება მათი ზეგავლენითაც შეიქმნა.

ქართველი ფუტურისტები ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ 1922 წლის გაფახულზე. პირველი ლიტერატურული საღამო გამართეს 23 აპრილს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში. 6-7 მაისს, პოეზიის დღესთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა მათი პირველი მანიფესტი „საქართველო – ფენიქსი“. მანიფესტს ხელს აწერდნენ ნიკოლოზ ჩაჩავა, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, პავლო ნოზაძე და სხვანი. მათ შეუერთდნენ ნიკოლოზ შენგელია, ჟანგო ლოლობერიძე, ბიძინა აბულაძე, შალვა ალხაზიშვილი. მხატვრები: ირაკლი გამრეკელი, ბენო გორდეზიანი. ქართველი ფუტურისტები გამოსცემდნენ ჟურნალებს: „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“ (1924), „ლიტერატურა და სხვა“ (1924-25), „მემარცხენეობა“ (1927-28), გაზეთს – „დროული“ (1925-26).

ქართველმა ფუტურისტებმაც უალრესად გამოხვედნენ, რადიკალური ლოზუნგები წამოაყენეს. თავიანთი დაჯგუფების დაარსების უმთავრეს არგუმენტად მიაჩნდათ ის, რომ „ქართული ხელოვნება სრულიად დაშორდა თანადროულობას“, ამიტომაც სწორედ „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“ უნდა შენაცვლებოდა „ძველ საფეხურზე მდგარ შკოლებს“. იტალიელ ფუტურისტთა მონოდებების მსგავსად, მათ სიტყვებშიც იგრძნობოდა მძაფრი აგრესია გარე სამყაროსად-

მი, ტრადიციისადმი. „ჩვენ დავირქვით ტერორისტები“, – აცხადებდა პავლო ნოზაძე. ბუნებრივია, ქართული ფუტურისტი უპირისპირდებოდა რეალისტურ-გამომსახველობით პრინციპს ხელოვნებაში: „ნივთი, ფოტოგრაფიულად ასახული, არის ავადმყოფობა, რომელსაც ვებრძვით, როგორც გადამდებ სენს“ (ბენო გორდეზიანი).

ნ. ჩაჩავას ლექსი „აბრეშუმი თითისტარზე“ საკმაოდ ზუსტ ნარმოდგენას შეგვიქმნის ქართველ ფუტურისტთა პოეზიაზე:

„1. აბრეშუმი შუმი  
მეაბრეშუმე  
შარა  
მარად  
დამიდაბრეშუმე  
თითისტარი აგებული  
გუბე გობი  
გუბე დამიდაგებული.“

2. თვალი მრუდე  
თვალი ბრალი  
განგებ აბეზარებული.  
ფარნა ნორჩი  
ოქროთ  
ოქრო  
უხვად გამოდარებული.“

მკითხველს შეიძლება გარკვეული დაპირისპირება გაუჩნდეს ამგვარ ქმნილებებთან. იქნებ ბევრმა არც კი მიიღოს ის, როგორც პოეზია (მით უფრო, რომ ამ ლექსებში ჯერ კიდევ შეიძლება სიტყვათა გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობის აღქმა, რაც თითქმის შეუძლებელია ფუტურისტთა ბევრ თხზულებაში). ფუტურისტები სავსებით შეგნებულად უარყოფდნენ ტექსტის ლოგიკურობას, მინაარსობრივ გამართულობას, აზრობრივ სიხარულს. ფუტურისტი ეს პრინციპი მხოლოდ და მხოლოდ რადიკალური გამოვლენაა სიმბოლიზმის ფარგლებშივე წარმოქმნილი დაპირისპირებისა გონისმიერ, ინტელექტუალურ საწყისთან. რამდენადაც ცნობილია, სწორედ სიმბოლიზტურმა მსოფლმხედველობამ აღიარა გონება პიროვნული მთლიანობის, სულიერების, რწმენის დამარღვეველ საწყისად, რომელიც,

თავის მხრივ, უძლური აღმოჩნდა სამყაროსული იდუმალების, ჭეშმარიტების შესაცნობად. ამდენად, თუკი სიმბოლიზტურ პოეზიაშივე იჩინა თავი ტექსტის გაუგებრობამ, ალოგიკურობამ, ფუტურისტულ ლექსებში ეს პრინციპი უკიდურესად მძაფრი, წინასწარგამიზნული ფორმით ვლინდება (რუსულ ფუტურისტი ამ მხატვრულ ხერხსა თუ მსოფლმხედველობრივ პოზიციას ეწოდება „ზაუმი“, ანუ ის, რაც გონების მიღმა დგას), ამგვარად უარყოფს ფუტურისტი პოეტური სიტყვის გონისმიერ, ცნობიერებისმიერ ბუნებას, მის აზრობრივ მნიშვნელობას, რაციონალურ საწყისს, მაგრამ, ამასთან ერთად, უარყოფს სულიერი საწყისის პრიორიტეტსაც, რაც ასე გამოკვეთილი იყო სიმბოლიზტურ პოეზიაში აბსოლუტური უფლებები ენიჭება ადამიანის სხეულებრივ, ფიზიკურ საწყისს, მატერიალურ სამყაროს. ნაცვლად სულიერი დისპარმონიით, სულიერი ძიებებით გადაღლილი პოეტური ნატურისა, ჩვენ წინაშე ისახება სხეულებრივი სისავით აღბეჭდილი პიროვნება, რომლის არსებობაშიც პირველქმნილი ძალით აღმდგარა ფიზიკური ინსტინქტები, მომავლისაკენ დაპირისპირება გაუჩნდეს ამგვარ ქმნილებებთან. იქნებ ბევრმა არც კი მიიღოს ის, როგორც პოეზია (მით უფრო, რომ ამ ლექსებში ჯერ კიდევ შეიძლება სიტყვათა გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობის აღქმა, რაც თითქმის შეუძლებელია ფუტურისტთა ბევრ თხზულებაში). ფუტურისტები სავსებით შეგნებულად უარყოფდნენ ტექსტის ლოგიკურობას, მინაარსობრივ გამართულობას, აზრობრივ სიხარულს. ფუტურისტი ეს პრინციპი მხოლოდ და მხოლოდ რადიკალური გამოვლენაა სიმბოლიზმის ფარგლებშივე წარმოქმნილი დაპირისპირებისა გონისმიერ, ინტელექტუალურ საწყისთან. რამდენადაც ცნობილია, სწორედ სიმბოლიზტურმა მსოფლმხედველობამ აღიარა გონება პიროვნული მთლიანობის, სულიერების, რწმენის დამარღვეველ საწყისად, რომელიც,

### ფილიპო ტომაზო მარინეტი

## ფუტურისტი პირველი მანიფესტი

მთელი ღამე ელექტრომუქის ქვეშ გავატარეთ მე და ჩემმა მეგობრებმა. თავისი სირთულთა და უცნაურობით მეჩეთის გუმბათის მსგავსი ნათურის სპილენძის თალფაქი ჩვენივე თავს გვაგონებდა, მაგრამ მასში ელექტრული გული ფეთქავდა. სიზარმაცე ჩვენზე წინ განჩნდა, მაგრამ ჩვენ დაუღლებლად ვისხედით მდიდრულ სპარსულ ხალიჩაზე, ათასგვარ სისულელეს ვროშავდით და ვვლავდით.

ჩვენივე თავით ვამაყობდით: რატომაც არა, მხოლოდ ჩვენ არ გვეძინა, შუქურებისა და მზვერავების მსგავსად. ჩვენ ერთი-ერთზე, პირისპირ ვიდევით ვარსკვლავების მთელი ჯგროს წინაშე, ყველა ისინი ჩვენი მტრები იყვნენ, და მათ კარავი ცის სიღრმეში ჰქონდათ დაცემული, მარტონი, სრულიად

მარტონი, ცეცხლფარეშთან ერთად, გიგანტური ხომალდის საცეცხლურის პირისპირ; მარტონი, შავი აჩრდილით, გაცოფებული ორთქმავლის წითლად გავარვარებულ საშოსთან; მარტონი ლოთთან ერთად, როცა ის შინისკენ ისე მიფრინავს, თითქოს ფრთები ჰქონდეს გამოსხმული, მაგრამ საქმე ისაა, რომ მის ამ ფრთებს კედლები აფერხებენ!

ამ დროს, მოულოდნელად, გრუხუნი მოგვესმა. უზარმაზარი, ფერადფერადდებნიანი, ორსართულიანი ტრამვაის ვაგონები დგანდგართ დასრიალებდნენ. ისინი თითქოს რომელიღაც დღესასწაულის დროს მდინარეზე მობანავე ქალიშვილები იყვნენ, მაგრამ მდინარე ადიდდა, ქალიშვილები მოიტაცა და ჩანჩქერების და მორევების გავლით ზღვისკენ გააქანა.

შემდეგ ყველაფერი გაყურდა. მხოლოდ ძველი არხის საცოდავი კენესა და ნეხევრად-დანგრეულ, ხავსმოდებულ სასახლეთა ძელების ღრქაილი გვესმოდა. და უცებ ჩვენი ფანჯრების ქვეშ, როგორც მშობიარე მხეცებმა, ავტომობილებმა დაიღრიალეს.

აბა, მეგობრებო, – ვთქვი მე, – წინ! მითოლოგია, მისტიკა – ეს ყველაფერი უკვე უკანაა! ჩვენს თვალწინ ახალი კენტავრი იხადება – ადამიანი მოტოციკლზე, ხოლო პირველი ანეგლოზები ცაში აეროპლანის ფრთებით აიჭრნენ! მოდით! კარგად შევანჯიროთ ცხოვრების ჭიშკარი, დაე, ყველა კაუჭი და ურდული დაცვივდეს!... წინ! აი, უკვე მინას ახალი ცისკარი დაჰყურებს!.. უპირველესად თავისი ალისფერი მახვილით იგი საუკუნო

წყვიდადს განწვავავს, არაფერია ამ ცეცხლოვან ელვარებაზე უფრო მშვენიერი!

იქ სამი ავტომობილი იდგა და ფრუტუნებდა. ჩვენ მივდით და ჯიდაოზე ხელი აღერსით მოვუთათუნეთ. მე ავტომო საშინელ სივიროვეს განვიცდი; წევხარ, როგორც კუბოში; მაგრამ ამ დროს საჭე მომებჯინა მკერდზე, ჯალათის ნაჯახივით მომხვდა და, უმაღლესი მოვლელი სიკაფით, კუზიან ქუჩებში გაგვაქროლა. ფანჯრებში საცოდავად ბუტავდა მკრთალი სინათლე, რომელიც თითქოს ღალადებდა: ნუ ენდობით საკუთარ თვალებს, ნივთების ზედმეტად ფხიზელ ჭვრეტას!

საუბრაბი ლიბერაბურაზი

ალო! - შევყვირე, - გარეულ მხეცს ალ-ლოც ეყოფა!...

და, როგორც ახალგაზრდა ლომები, სიკვდილს დავედვენეთ. ჩვენს წინ, უსაზღვრო, იისფერ ცაში ოდნავ შესამჩნევი, მქრალჯვრებიანი შავი ტყავი გამოკრთოდა. ცა ლივლივებდა და თრთოდა, შეიძლებოდა ხელით შეხებოდა ადამიანი.

მაგრამ ჩვენც არც ღრუბელთა სიშორეებში ამაღლებული მშვენიერი ქალბატონი გვეყავდა, არც - მრისხანე დედოფალი - მამასადაძმე, შეუძლებელი იყო, დაღუპულნი და ბიზანტიური ბეჭდის მსგავსად დაგრებილნი, მის ფეხებთან უსულოდ დაცემულიყავით!.. არაფრის გამო თავი არ გვექონდა მოსაკლავი, მხოლოდ ჩვენივე გაბედულების მიმღე ტვირთი თუ მოგვმორდებოდა!

თავქუდმოგლეჯილნი გავრბოდით. ჭიშკრებიდან ჯაჭვით დაბმული ძაღლები გამოხტებოდნენ ხოლმე, და ჩვენ მათ მაშინვე ვწყვეტდით, - მდულარე ბორბლების გადავლის მერე მათგან არაფერი რჩებოდა, სველი ადგილიც კი - არა, როგორც საყვლოზე არ რჩება ნაკეცი დაუთოების მერე.

სიკვდილი საშინლად კმაყოფილი იყო. ყოველ მოსახვევში ის ან წინ გარბოდა და თავის ძვლის ხელეხს ალერსიანად მიხვდებოდა, ან გზაზე განწოლილი და გუბებთან სანდომიანად მომზირალი, კბილების კრაჭუნით მიდარაჯებდა.

მოდით, გავაღწიოთ სალი აზრის მთლად დამპალი ნიჟარები და სიამაყით გატყორცნილი კაკლებით შევცვივდეთ ქარის დაღებულ ხახასა და ხორხში! დაე, შთაგვთქვას გაურკვევლობა! ჩვენ სინანულით კი არ ჩავდივართ ამას, არამედ იმიტომ, რომ უფრო გამარავლდეს უამისოდაც უსაზღვრო უაზრობა!

ასე ვთქვი და მაშინვე სწრაფად შემოვბრუნდი. სწორედ ასეა, როცა ქვეყანაზე ყველაფერი ავიწყდება და თავიანთ კუდს დასდევენ პუდელები; უცებ, სად იყო და სად არა, ორი ველოსიპედისტი გამოჩნდა, მათ ეს არ მოეწონათ და ჩემს წინ აწრიალდნენ: ზოგჯერ ასე ტრიალებს თავში ორი დასკვნა, და მიუხედავად ურთიერთგამომრიცხაობისა, ორივე დამაჯერებელია. აქვე, გზაზე, დაიწყეს კამათი - ვერც ფეხით ვახვალ, ვერც მანქანით გაივლი... დასწყევლოს ეშმაკმა! ფუი!.. პირდაპირ გავქანდი, და რა გამოვიდა! - ჰოპ! გადავბრუნდი და პირდაპირ არხში მოვადინე ტყაპანი...

უჰ, დედაარხო, დიდება შენდა! უჰ, ეს ქარხნები და მათი გამდინარე წყლები! სიამოვნებით განვებოთ ამ სითხეში და გამახსენდა ჩემი გამზრდელი ზანგი ქალის შავი ძუძუები! სიამაყით წამოვიმართე, როგორც ჭუჭყიანი და სუნიანი შვებრა, და სიხარულმა გახურებული დანასავით გამიარა გულში.

მაშინ ყველა მეთევზე ანეკისით ხელში და ბუნების რევმატული მეგობრები ჯერ აფორიაქდნენ, შემდეგ შეიყარნენ და არნახულს დაამტერდნენ, აუჩქარებლად, საქმის ცოდნით, ჩააგდეს თავიანთი უშველებელი რკინის ბადეები და ჩემი ავტო მოიხელთეს - ყლარტში ჩაფლული ეს ზვიგენი. როგორც გველმა კანიდან, ისე დაიწყო მან ნელ-ნელა არხიდან ამოსვლა, და აი, უკვე გამოჩნდა მისი უშველებელი ძარა და უზომო შემოსაკრავი. მეთევზეებს ეგონათ, რომ ჩემმა საცოდავმა ზვიგენმა სული დალია. მაგრამ საკმარისი იყო, ზურგზე სათუთად მოვლერებოდი, რომ

ეს ერთიანად აცახცახდა, აძაგაძაგა, ფარფლი გაისწორა და კისრისტეხით გაქანდა წინ.

ოფლიანია ჩვენი სახე, ქარხნის ჭუჭყითა და ერთმანეთში არეული ნაქლიბითა და ცადანვლილი მილებიდან ამომავალი ჭვარტლითაა გასვრილი, ჩვენი დამტვრეული ხელები დოღბანდითაა შესხეული. და აი, ასე, ცხოვრებით დაბრძენებულ, ანკესიან მეთევზეთა სლუკუნში და ბუნების საბოლოოდ იმედგანურულ მეგობრებს შორის, ჩვენ პირველად გამოვუცხადეთ დედამინაზე ყველა მცხოვრებს ჩვენი ნება:

1. გაუმარჯოს რისკს, გაბედულებას და დაუოკებელ ენერჯიას!

2. შეუპოვრობა, სიმამაცე და ჯანყი - აი, რას ვუმღერით ჩვენ ჩვენი ლექსებით.

3. ძველი ლიტერატურა ხოტბას ასხამდა აზრის სიზანტეს, ალტაცებებს და უმოქმედობას. ჩვენ კი ვადიდებთ კადნიერ შეტევას, ხურვებიან ბოდვას, სამწყობრო ნაბიჯს, საშიშ ნახტომს, სილის განწვანს და ცხვირ-პირის მტვრევას.

4. ჩვენ ვამბობთ: ჩვენი მშვენიერი სამყარო უფრო მშვენიერი გახდა - ახლა მასში სისწრაფეა. მსრბოლავი ავტომობილის საბარგულქვეშ გამოსაბოლქვი მილები გველენებით იკლაკნებიან და ცეცხლს ანთხევენ. მისი ბლავილი ტყვიამფრქვევის მიჯრით სროლას ჰგავს, და სილამაზით ვერავითარი ნიკე სამოთრაკიელი ვერ შეედრება.

5. ჩვენ ვუმღერით საქვსთან მჯდომ ადამიანს: თვალს მიწას ხვრეტს, და მანქანა წრიული ორბიტაზე ქრის.

6. დაე, პოეტი თავგამეტებით ქროდეს, დაე, ქუხდეს მისი ხმა და პირველქმნილ სტიქიას ალვიძებდეს!

7. ბრძოლაზე უფრო მშვენიერი არაფერია. თავხედობის გარეშე შედეგრი არ იქმნება. პოეზია დათრგუნავს და ადამიანს დაუმორჩილებს ბნელ ძალებს.

8. ჩვენ ასწავლით ფლატზე ვდგავართ!.. რა საჭიროა უკან მოხედვა? ჩვენ ხომ სულ მალე გავჭრით სარკმელს პირდაპირ შეუძლებლის იდუმალ სამყაროში!.. ახლა არც დროა და არც სივრცე. ჩვენ უკვე მარადისობაში ვცხოვრობთ, ჩვენს სამყაროში ხომ მხოლოდ სისწრაფე მეფობს.

9. გაუმარჯოს ომს - მხოლოდ მას შეუძლია განმინდოს მსოფლიო. გაუმარჯოს შეიარაღებას, სამშობლოს სიყვარულს, ანარქიზმის დამანგრეველ ძალას, ყველაფრის და ყველას მომსპობ მალად იდეალებს! შორს ჩვენგან ქალი!

10. ჩვენ ქვას ქვაზე არ დავტოვებთ არც ერთი მუზეუმისგან, ბიბლიოთეკისგან. ძირს მორალი, მშობარა შემთანხმებლები და ვერავი ობიგატელები!

11. ჩვენ მუშაობის ხმაურს ვუმღერებთ, ბრბოს მზიარულ გუგუნს და მეამბოხურ ხმაურს; რევოლუციური ქარიშხლის ჭრელ მრავალხმოვანებას ჩვენს დედაქალაქებში; ელექტრულ მთვარეთა დამაბრმავებელი სინათლის შუქზე, პორტებსა და გემთსაშენებში, ლამეულ დედუნს. დაე, სადგურთა გაუმძღარმა ხახამ დანთქვას მზუთავი გველები. დაე, ქარხნები, მათი მილებიდან ამომავალი კვამლის ძაფებით, მტკიცედ იყვენენ მიმარებულნი ღრუბლებს. დაე, ხიდებმა ტანმოვარჯიშის ნახტომით გადაჭიმონ თავიანთი თავი მზისგულზე თვალისმომჭრელად მობრჭყვიალე მდინარეთა ტანზე. დაე, ჰორიზონტი იყნოსონ ფრთა-

მალმა გემებმა. დაე, ფართომკერდიანმა ორთქმავლებმა, მილებით ალკაზმულმა ამ რკინის ცხენებმა, მოუთმენლობისგან იცეკვონ და იხენემონ რელსებზე. დაე, აეროპლანებმა ზეცა გადასერონ, ხოლო ჭანჭიკთა ხრჭილი შეენივთოს დროშების ფერხულს და აღფრთოვანებული ბრბოს ტამისცემას.

არა სადმე სხვაგან, არამედ იტალიაში ვაცხადებთ ჩვენ ამ მანიფესტს. ის მთელს ქვეყანას დააქცევს და გადააბრუნებს. დღეს ჩვენ ამ მანიფესტით ფუტურიზმს ვუყვრით საფუძველს. დროა გავწმინდოთ იტალია ყველა ამ სწეულისგან - ისტორიკოსებისგან, არქეოლოგებისგან, ხელოვნებათმცოდნეებისგან, ანტიკვარებისგან.

ძალიან დიდხანს იყო იტალია ყოველგვარი სიძველის სანაგვე. საჭიროა ურიცხვი სა-მუზეუმო ხარახურისგან მისი გასუფთავება - ეს ხარახურა ქვეყანას უზარმაზარ სასაფლაოდ აქცევს.

მუზეუმი და სასაფლაო! ერთმანეთისგან მათი გარჩევა შეუძლებელია - ყველასთვის უცნობ და გაურკვეველ გვამთა პირქუში გროვა. ეს ის საზოგადოებრივი თავშესაფრებია, სადაც ერთ მუშტად შეკრულან საზიზღარი და უჯიშო მხეცები. მხატვრები და მოქანდაკეები ერთმანეთისადმი მთელ თავიანთ სიძულვილს თვით მუზეუმის ხაზებსა და ფერებში აქსოვენ.

წელიწადში ერთხელ მუზეუმში შესვლა, როგორც ახლობელთა საფლავებს მოინახულებენ ხოლმე, - ეს კიდევ გასაგებია!.. ჯოკონდასადმი მირთმეული ყვავილების თაიგულიც კარგი უესტია!.. მაგრამ ყოველდღიურად იქ ხეტილი ყველა ჩვენი სიმწარით, სისუსტით, სევდით - ეს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს!.. რატომ მოვიწამლოთ სული! რატომ უნდა ჩამოგვტვიროდეს სახე?

კარგს რას ნახავ ძველ სურათზე? ნახავ მხოლოდ მხატვრის საცოდავ გაჭაჭვას, იმ დაბრკოლებათა გადალახვის წარუმატებელ მცდელობებს, ჩანაფიქრის სრულად გამოხატვის საშუალებას რომ არ აძლევს. აღფრთოვანდე ძველი სურათით - ნიშნავს, ცოცხლად დაასამარო შენი საუკეთესო გრძობები. უმჯობესია საქმეში მათი გამოყენება, სა-მუშაო, შემოქმედებითი დინებით მათი წარმართვა. რა საჭიროა ძაღლების უაზრო ფლანგვა წარსულზე არაფრისმომცემ ოხვრამში? ეს გველის, გვაუღლურებს, გვაცარბილებს.

რა საჭიროა ყოველდღე სიარული მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, აკადემიებში, სადაც დამარხულია განუხორციელებელი ჩანაფიქრები, მინასთანაა გასწორებული საუკეთესო ოცნებები, აღწესსულია დამსხვრეული იმედები?! მხატვრისთვის ეს იგივეა, რაც ჭკვიანი, ნიჭიერი და პატივმოყვრული მიზნებით აღსავსე ახალგაზრდებისთვის - ერთობ გაჭიანურებული აღზრდა-მეურვეობა.

სუსტებისთვის, ხეიბრებისთვის და პატიმრებისთვის ეს, შესაძლოა, ასატანია. შესაძლოა, მათთვის სასიამოვნო ძველი დროება ჭროლობებზე დადებული მალამოს მსგავსია, მომავალი ხომ მაინც ცნობილია... ჩვენ კი ეს ყველაფერი არაფერში გვარგია! ჩვენ ახალგაზრდები, ძლიერები ვართ? მთელი არსებით ვცხოვრობთ, ჩვენ,

**ფუტურისტები!**  
აბა, სად ხართ სახელოვანო ცეცხლის გამჩალებლებო დამწვარი ხელებით! აბა, ერთი

აქეთ მოდექით! აქეთ! ცეცხლი შეუნთეთ ბილიოთეკის თაროებს! არხის წყალი მუზეუმის აკლამებისკენ მიმართეთ და დატბორეთ ისინი!... დაე, დინებამ ნაილოს დიდებული ტილოები! ხელში ბარი და წერაქვი აიღეთ! და-ანგრიეთ ძველი ქალაქები!

მრავალი ჩვენგანი ჯერ ოცდაათისაც არ არის. სამუშაოს კი, ჩვენ რომ ვიკისრეთ, ათი წელი ან ეყოფა და ან - არა. ორმოცს მივუკაკუნებთ თუ არა, ახალგაზრდებმა და ძლიერებმა, დაე, სანაგვეზე გადავვიძახონ, როგორც უსარგებლო ძველმანი!... ისინი ქვეყნების ყველა მხრიდან ყველაზე შორეული კუნძულებიდან მოიბრუნენ, თავიანთივე პირველ ლექსთა მსუბუქ რიტმებს აყოლილნი. ისინი ჰაერს დაკანარვენ თავიანთი მობრჭყვალული თითებით და აკადემიის კარებს დაყნოსავენ. ისინი შეისუნთქავენ იმ ჩვენი დამპალი იდეების შმორს, რომელთა ადგილი ბიბლიოთეკათა კატაკომბებშია.

მაგრამ თავად ჩვენ უკვე იქ არ ვიქნებით. ბოლოს და ბოლოს, ზამთრის ღამეში, ისინი მოგვანებენ ტრიალ ველზე, პირქუშ ანგართან. ნალვლიან წვიმაში ჩვენ შეექუჩდებით ჩვენს მოცახცახე აეროპლანებთან და ხელებს გავითბობთ უძლურ კოცონზე. ახალი ცეცხლი მზიარული გაელვება-გაელვებით შთანთქავს ჩვენ წიგნებს, ხოლო ამ წიგნთა სახეები ნაპერკლებად ავა ცაში.

ისინი ჩვენ გარშემო მოგროვდებიან. ბოლმისგან და ჯავრისგან სუნთქვა შეეკვრებათ. ჩვენი სიამაყე და უსაზღვრო შეუპოვრობა მათ გააცოცხლებს და ისინი მოგვანყვებიან. და რაც უფრო ძლიერი იქნება ჩვენდამი მათი სიყვარული და ჩვენით მათი აღფრთოვანება, მით მეტი სიძულვილით დავგანაკუნებენ. უსამართლობის ჯანმრთელი და ძლიერი ცეცხლი მზიარულად გაბრწყინდება მათ თვალელებში. ხელოვნება ხომ სწორედაც ძალადობა, სისასტიკეა და უსამართლობა.

მრავალი ჩვენგანი ჯერ ოცდაათისაც არ არის, ჩვენ კი უკვე გავფლანგეთ მთელი ჩვენი სიმდიდრე - ძალა, სიყვარული, გაბედულება, სიჯიუტე. ჩვენ ვჩქარობდით, ხურვება-შეყრილივით ვანყვებოდით აქეთ-იქით, ანგარიშიუცემლად და ქანცგანყვეტამდე.

მაგრამ გვიყურეთ! ჩვენ ჯერაც არ ამოგმწყდარართ! ჩვენი გულელი თანაბრად ფეთქავს! რატომღაც რომ არ იფეთქონ თანაბრად, ჩვენს მკერდში ხომ ცეცხლია, სიძულვილია, სისწრაფეა!.. რა, გიკვირთ? თქვენ ხომ მთელი თქვენი ცხოვრებიდან გასასხენებელიც კი არაფერი დაგრჩენიათ.

და, კვლავ, უმაღლესი მწვერვალიდან ვარსკვლავებს ვთავაზობთ გამონვევას!

არ გჯერათ? კარგი, იქნება! იქნება! ეს ყველაფერი უკვე რამდენჯერ მომისმენია. რა თქმა უნდა! ჩვენთვის წინასწარ ცნობილია, რას მიგვითითებს ვითომ ჩვენი ღამაზი გონება. ჩვენ, იტყვის ის, მხოლოდ ბავშვები და ჩვენი წინაპრების სიცოცხლის გამგრძელებლები ვართ.

მერე რა! ასე იყოს! რა მოხდა მერე!.. გულისამრევია ამის მოსმენა! მოეშვით სისულელების როშვას! სჯობს, ტვინი გაანძობოთ!

და, კვლავ, უმაღლესი მწვერვალიდან ვარსკვლავებს ვთავაზობთ გამონვევას!

1909 წელი  
თარგმანი ლ.პატიშვილის

ბამოფენა



189-ე (ყოფილი I ექსპერიმენტული) საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა საბურთალოზე მდებარე „მაკდონალდში“ გაიხსნა. გამოფენის იდეა „მაკდონალდის“ თანამშრომლებს ეკუთვნით. სკოლა სიამოვნებით დათანხმდა, ვინაიდან ბავშვების ნამუშევრების გამოსაფენად უფრო დიდი აუდიტორია, პრაქტიკულად, არ არსებობს. ეს აქცია იმ პროექტის დასაწყისია, რომლის განხორციელებასაც 189-ე სკოლა და მსოფლიოში ცნობილი კომპანია მომავალში აპირებენ. გამოფენა 15 იანვრამდე გასტანს. შემდეგ კი „მაკდონალდის“ დახმარებით სკოლაში მუდმივმოქმედი საგამოფენო სივრცე მოეწყობა.

თამარ მამსიაშვილი  
189-ე საჯარო სკოლის  
დირექტორის მოადგილე



12/18/2009

საუბრაო ბიბლია

შესაქმის მუშაობა დღე



რუბრიკის უძღვებელი როლანდ ჩხეიძე

პირველი ნაწილი

„თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწაზე სულდგმული თავთავისი გვარისდა მიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი და მინის მხეცები თავთავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ნადირი თავთავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავთავისი გვარისდა მიხედვით და ქვემძრომი თავთავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო“ (დაბ. 1:24-25).

შესაქმის ბოლო – მეექვსე დღის შესახებ ტექსტის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ ღვთის სიტყვით მიწაზე წარმოქმნა და თავთავისი გვარისდა მიხედვით განხორციელდნენ მინის მხეცების ბინადარი: პირუტყვი ანუ ის ძუძუმწოვარი არსებები, რომლებსაც სული ცხოველი გააჩნიათ, მაგრამ არც მეტყველებენ და ვერც ვერასოდეს იმეტყველებენ; აგრეთვე ქვემძრომი და მხეცები. და ბოლოს „თქვა ღმერთმა: გააჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1:26). კაცი მინის სხვა ბინადართან განსხვავებით მეტყველი არსებაა, ანუ პიროვნებაა, რომელსაც ღვთის ცალკეულ ქმედებათა შინაარსის შეცნობა შეუძლია. სხვაგვარად, თუ ადამიანი ვერ შეიცნობს ღვთის ნებას, მასში ვერ იქნება ღმერთის ხატება და მსგავსება, ვერ უპატრონოს „ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1:26).

განხორციელების შესახებ

დეკანოზი სერაფიმ სლობოდსკი მეექვსე დღის შესახებ წერს: ისევე, როგორც უფალმა წყლიდან თევზები და ზღვის სხვა ბინადარი ააღორძინა, უფალმა ოთხფეხთა განსახორციელებლად მიწა გამოიყენა. მიწისადმი მიმართვა გვახსენებს შესაქმის მესამე დღეს, სადაც უფალი ბრძანებს: „აღმოაცენის მიწა მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი,

თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. წარმოშვა მიწაზე მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით“ (დაბ. 1:9-13). ეს სიტყვები ზოგიერთ ბუნებისმეტყველს ისე ესმის, თითქოს დედამიწა მიწის სხივებით თბებოდა და თავისთავად, ამ სიტუაციის საშუალებით მიწიდან ესა თუ ის ცოცხალი ორგანიზმი წარმოიქმნებოდა. ჩვენს გარშემო არსებულ უსაზღვრო ბუნებაში ვერც ერთ მიწის ნივთს ვერ ვნახავთ იმის შესახებ, რომ არაფრისაგან მხოლოდ მზეს და მიწას, ცოცხალი არსების შექმნა შეუძლია, ან შესაძლებელია არსებობა ერთი სახეობიდან მეორე გაჩნდეს. მაგრამ თუ გავისხეხებთ წმინდა წერილს, დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VIII საუკუნეში ესაია წინასწარმეტყველი გვაუწყებდა: „თავად მოგცემს მეუფე ნიშანს: აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს“ (ეს. 7:14). ეს წინასწარმეტყველება იესო ქრისტეს შობით უკვე აღსრულდა. მართლმადიდებლურ მრწამსში ვკითხულობთ: უფალი „ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის ვარდამოხდა ზეცით, და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცდა.“

ღვთის განკაცება უდაოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სამყაროს ისტორიაში. ჩვენ ვიცით, რომ განკაცდა წმინდა სამების მეორე წევრი: ძე ღვთისა ანუ „სიტყვა“. ნათქვამია: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ (იოან. 1:1). ამასთან ვიცით, რომ სამყარო თავად ღვთის სიტყვით განხორციელდა. იოანე ღვთისმეტყველი თავის სახარებაში წერს: სიტყვა „იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა“ (იოან. 1:2-4). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები, – „თავად მოგცემს მეუფე ნიშანს“, – ორი თვალსაზრისით უნდა გვესმოდეს: ერთი მხრივ ეს არის ღვთის განკაცების ნიშანი, ხოლო მეორე მხრივ, სწორედ ეს ნიშანი გვიჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება ღვთის ნება სამყაროში. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება მხოლოდშობილისა მამის მიერ“ (იოან. 1:14).

ადამიანები, ჩვენი სულიერი სისუსტის გამო, ვერ ვღებულობთ იმ

ღვთიურ სიკეთეს რაც ღმერთმა მოგცა. გვიკვირს და ვკითხულობთ: როგორ შეიძლება ღვთის ნებითა და სიტყვით შექმნილიყო თვალუწვდენელი სამყარო? გვჯერა, მაგრამ ვერ წარმოგვიდგინა: ქალწულში როგორ უნდა ჩასახულიყო და განკაცებულიყო ღმერთი?

ამ საოცრებამ თავის დროზე წმინდა მარიამიც გააკვირვა. აი რას ვგვიამბობს ლუკა მახარებელი: „ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, და სახელი მისი – იოსები, დავითის მოდგმისა, ხოლო სახელი ქალწულისა – მარიამი. შევიდა ანგელოზი მასთან და უთხრა: გინაროდეს მადლით მოსილო: უფალი შენთანაა; კურთხეულ ხარ დედათა შორის. ხოლო ის შედრწუნდა მის სიტყვაზე და ჩაფიქრდა: ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვა? ანგელოზმა უთხრა მას: ნუ გეშინია, მარიამ, რადგანაც ჰპოვე მადლი ღმერთის ნინამე. აჰა, მუცლად იღებ და შობ ძეს, და უწოდებ სახელად იესოს. დიდი იქნება იგი და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს ღმერთი მამამისის, დავითის, ტახტს. საუკუნოდ იმეფებს იაკობის სახლზე და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა. ხოლო მარიამმა უთხრა ანგელოზს: როგორ იქნება ეგ, მამაკაცი რომ არ ვიცი? მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: სული წმიდა გადმოვა შენზე, და უზენაესის ძალა მოგიჩრდილებს. ამიტომაც ღმერთის ძედ იწოდება წმიდა შობილი. აჰა, ელისაბედმაც, შენმა ნათესავმა, მუცლად იღო ძე სიბერის უამს, და ეს მეექვსე თვეა მისთვის, ვინც უნაყოფოდ იყო ხნობიერი, რადგან ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი“ (ლუკ. 1:27-37).

მწელია ზეადამიანური ჭეშმარიტების შეცნობა. ასეთ ინფორმაციას ზოგი ფილოსოფიურად ან ლოგიკურად უარყოფს, ზოგი ათეისტები მკვლევარებით ექსპერიმენტულ მტკიცებულებას მოითხოვს, ზოგი კი სექტანტური იდეოლოგიით დაუნყებებს ოპონირებას. „ხოლო მარიამმა დაუფიცა: აჰა, მხეველი უფლისა! მეყოს შე შენი სიტყვისამებრ! და განემორა მას ანგელოზი“ (ლუკ. 1:38).

პირუტყვის, ქვემძრომებისა და მხეცების შექმნა

„თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწაზე სულდგმული თავთავისი გვარისდა მიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი და მინის მხეცები თავთავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე“. ამ სიტყვიდან ვგებულობთ, რომ როგორც მესამე, ისე მეექვსე დღეს უფალმა დედამიწას ცხოველმყოფელი, სულის ჩამდგმელი ძალა შთაბერა. ბასილი დიდი გვასწავლის: როდესაც უფალი ბრძანებს: „წარმოშვას მიწაზე“, ეს

არ ნიშნავს, რომ მიწამ მასში უკვე ჩანერგილი არსებები უნდა ააღორძინოს; აქ იგულისხმება, რომ უფალი თავისი განგებით მიწას განკარგავს და ყველა მიწიერ არსებას ცხოვრების პირობების შესაბამის ააღორძინებს ძალას აძლევს.

არაბუნებრივად სიკვდილი და დაბადება მხოლოდ მოკვდავთათვის წარმოშობს საღმობასა და მიუწვდომლობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი იოანე ღვთისმეტყველს: „ფარისეველთა შორის იყო ერთი კაცი, სახელად ნიკოდემე, იუდეველთა მთავარი, რომელიც ღამით მივიდა იესოსთან და უთხრა: რაბი, ვიცით, რომ ღმერთისაგან მოსულხარ მოძღვრად, ვინაიდან არავის შეუძლია შენს მიერ მოხდენილ სასწაულთა ქმნა, თუკი მასთან არ არის ღმერთი. ხოლო იესომ მიუგო: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს. უთხრა მას ნიკოდემემ: როგორ შეიძლება დაიბადოს მოხუცი კაცი? ხომ არ შეუძლია ხელმეორედ შევიდეს დედის საშობი და კვლავ დაიბადოს? მიუგო იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სუფევით, ვერ შევა ღმერთის სასუფეველში. ხორცის მიერ შობილი ხორცია და სულის მიერ შობილი – სული. ნუ გიკვირს, რომ ვითხარ: ხელახლა უნდა დაიბადოთ-მეთქი. ქარი, სადაც სურს, ქრის, და გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის ან საით მიდის; ასევეა სული მიერ ყველა შობილიც. მიუგო ნიკოდემემ და უთხრა მას: როგორ შეიძლება ეს მოხდეს? ხოლო იესომ პასუხად თქვა: ისრაელის მოძღვარი ხარ და ეგ არ იცი? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ჩვენ ვამბობთ იმას, რაც ვიცით, და ვიმოწმებთ იმას, რაც გვიხილავს, მაგრამ ჩვენს მოწმობას არ იღებთ. თუ მინისა ვითხარით და არ ირწმუნეთ, როგორღა ირწმუნებთ, რომ ვითხარათ, ცისას?“ (იოან. 3:1-12).

\*\*\*

ჭეშმარიტად მიწიერი საკითხები იგულისხმება, როდესაც საუბარი მეექვსე დღის პირველი ნაწილის – ცხოველთა სამყაროს შესაქმის შესახებ მიმდინარეობს. შესაქმის მეექვსე დღის ასეთ თანამედროვე საბუნებისმეტყველო თვალსაზრისს გვიხატავს დეკანოზი სერაფიმ სლობოდსკი: ზღვები და ზეცა აღესილია ცხოვრებით, მაგრამ არღვი – იქედამიწის მესამედ ნაწილზე – ხმელეთზე, იქ სადაც ცოცხალი არსებებისათვის ცხოვრების საუკეთესო პირობებია და „გააჩინა ღმერთმა ნადირი თავთავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავ-

თავისი გვარისდა მიხედვით და ქვემძრომი თავთავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო“ (დაბ. 1:25).

როგორც მამა სერაფიმე აღნიშნავს: ნიადაგის ზედა ფენებში, იქ სადაც მეცნიერებს აღარ ხვდებათ ურჩხულებისა და გველეშაპების მსგავსი არსებები, ვლინდებიან ახალი – ოთხფეხა ორგანიზმები. ჯერ იპოვებიან დღეისათვის უკვე არარსებული სახეები – დინოზოები, მასტოდონტები და მამონტები, – შემდეგ უფრო სრულყოფილი არსებები და ბოლოს სხვადასხვა ზომის დღევანდელი სახეობების – ლომების, ვეფხვების, დათვების, რქოსანი პირუტყვისა და სხვა სახეობები.

ყველაფერი ეს მეცნიერებს საგონებელს უქმნის, ისინი სვამენ შეკითხვას: როგორ გაჩნდა ყოველივე? ყველა ფორმა ღვთის ნებით განხორციელდა და უცვლელი სახით არის შემონახული თუ ყოველივე ნელ-ნელა მარტივიდან რთული-საკენ თანმიმდევრობით განვითარდა და ერთი სახეობიდან მრავალი აღმოცენდა?

ზიბლია გვასწავლის, რომ ყოველი მცენარე და ცოცხალი არსება შეიქმნა თავთავისი გვარისდა მიხედვით, ანუ დასაბამად ერთი რომელიმე მცენარე და ცხოველი კი არა, ერთდროულად მრავალი არსება შექმნა ღმერთმა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა სახეობა, რომელსაც დღეს ვხედავთ, დასაბამიდან ღვთის მიერ არის შექმნილი. დაბადების წიგნში გამოყენებულია ებრაული სიტყვა **მინ**, რაც თარგმანში სახეობას კი არა „გვარს“ ნიშნავს. ეს სიტყვა თავისი არსით იმდენად ფართე მნიშვნელობისაა, რომ „სახეობა“ მას ვერანაირად ვერ დიფერენციალურად განსხვავდება. ამდენად ამ სიტყვის შინაარსში ბუნებრივად იგულისხმება ცალკეული სახეობების თანდათანობითი განვითარება და სრულყოფა.

ამრიგად, შესაქმის მეექვსე დღეს, მთელი დედამიწა აღსავსე იყო ცოცხალი არსებებით. ცხოველთა სამყარო წარმოადგენდა სრულყოფილ სიცოცხლის ხეს, რომლის ფესვებიც წარმოადგენდა შედარებით უხეშ და პრიმიტიულ არსებათა ჯგუფებს, ხოლო ზედა ტოტები მაღალგანვითარებულ და სრულყოფილ ცხოველებს. მაგრამ მთელი შესაქმე და მრავლისმომცველი მეექვსე დღე მაინც არ იყო სრულყოფილება, რადგან ჯერ არ იყო შექმნილი ხატება და მსგავსება ღვთისა – ადამიანი.

„თქვა ღმერთმა: გააჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1:26).

ინფორმაცია

უანბარო თანადგომა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის სამხედრო დასახლებაში, სადაც ვაზიანის №2 საჯარო სკოლა განთავსებულია, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები ცხოვრობენ. ჩვენი სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის 75% ამ მოსწავლეთაგან შედგება, რომელთა მიმართაც სკოლა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, ვცდილობთ მოსწავლეებს შევექმნათ ხელსაყრელი სასწავლო გარემო; გარდა ამისა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას მათი ჰარ-

მონიული და ფიზიკური განვითარებისათვის. ყოველივე ამას კი ვახორციელებთ სპორტის სხვადასხვა სახეობების მეშვეობით (ფეხბურთი, კალათბურთი, კრივი, ჭადრაკი, მძლეობის ნიშნები, მაგდის ჩოგბურთი და სხვ.). სპორტის ნებისმიერი სახეობის დამკვიდრებისა და ფუნქციონირებისათვის ნიჭსა და ფიზიკურ შესაძლებლობებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთათვის სათანადო სპორტული გარემოს შექმნას. ვინაიდან ვაუჩერული დაფინანსებიდან შემოსული თანხა ყველაფრისათვის არ გვყოფნის, ვცდილობთ გამოვინახოთ სპონსორები და ამ მხრივ ზოგჯერ გვიმართლებს კიდევ; ასე იყო ამჯერადაც. სიგ-

ძეზე სახტომი თხრილისათვის დაგვიჩრდა ყვითელი ქვიშა. 400-500 ლარი, რაც ქვიშის შექმნისა და ტრანსპორტირებისათვის იყო საჭირო, ვერ გამოვნახეთ ჩვენი ბიუჯეტიდან. სწორედ ამ დროს დაგვიდა მზარში შპს „დაგი“, რომელიც აქ, ვაზიანის სამხედრო დასახლებაში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეგიდით, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი კორპუსების აღდგენა-გარემონტებითა და დაკავებულნი. ჩვენი სატიკვარი გულთან ახლოს მიიტანეს „დაგის“ მესვეურებმა, ბატონებმა – გიორგი გულორდავამ და მიხეილ შარანგიამ, უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერმა გორა გიქოშვილმა და მძე-

ნებელმა თემურ ჭიბაშვილმა. მათ უსასყიდლოდ მოგვიტანეს მომავალ მძლეოსანთათვის საჭირო ყვითელი ქვიშა, რითაც ჩვენს მოსწავლეებს, – განსაკუთრებით კი, მშობლიურ კერის დროებით მოწყვეტილებს, – დიდი სიხარული მიანიჭეს. ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის, მოსწავლეთა და მათი მშობლების სახელით მადლობას ვუხდით შპს „დაგის“ კეთილშობილური და უანგარო თანადგომისათვის.

ზურაბ მინდიაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

# „მეცნიერება და ბიზნესი“ საახალწლო სარეჟისარი

წლის მიწურულს ასოციაცია „მეცნიერება და ბიზნესი“ სერიოზული, პრობლემატური საკითხებიდან საქველმოქმედო ღონისძიებებზე გადაერთო და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის საახალწლო ზეიმი დაგეგმა. „ამ საქმისთვის მსახიობებზე უკეთეს პარტნიორებს ვერც ვინატრებდით, ამიტომ მივმართეთ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომელიც უყოყმანოდ დაგვთანხმდა – ამბობს ასოციაციის პრეზიდენტი **ნოდარ კომანიძე**, – თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 200-ზე მეტი უნარშეზღუდული ბავშვი მოვიწვიეთ და IV-კურსელთა სპექტაკლი „ბაბაჯანას ქოშები“ ვაჩვენეთ. ვფიქრობ, ბედნიერი წუთები მივანიჭეთ მათ“.



რაც შეეხება თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის (თოჯინების განხრით) IV-კურსელებს, მათ ასეთ აქციებში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ – შარშანდელი საქველმოქმედო აქცია, ასევე უნარშეზღუდული ბავშვებისათვის და დმანისში გამართული სპექტაკლები. ახლა კი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში „მეცნიერება და ბიზნესის“ მიერ ორგანიზებულ აქციაში მიიღეს მონაწილეობა, ერთ დღეში ორჯერ

ითამაშეს „ბაბაჯანას ქოშები“ უნარშეზღუდული ბავშვებისათვის. სტუდენტები სპექტაკლისთვის საჭირო თითქმის ყველა სამუშაოს თავად ასრულებენ, თოჯინებსაც კი თავად კერავენ, არც სცენის მუშის მაგივრობას თაკილობენ და ბევრ ტექნიკურ მხარესაც საკუთარი ძალებით აგვარებენ. ერთი სიტყვით, გარდა იმისა, რომ კეთილ საქმეს

აკეთებენ, თავიანთი პროფესიონალების აუცილებელ, მაყურებელთან ურთიერთობის ჩვევებსაც იძენენ. **იური ფოფხაძე**, IV კურსის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი – „ჩვენი სტუდენტები ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ მსგავს აქციებში. ეს მათი პროფესიული ზრდის საუკეთესო

საშუალებაა. ერთი სპექტაკლი „არმინ-მალან“ შარშან მოვამზადეთ, მეორე – ნელს, ვიდრე დაამთავრებენ კიდევ ერთ სპექტაკლასაც დაეგეგმეთ და ვაჩვენებთ მსგავს აქციებზე. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ამ სპექტაკლებით საქართველოს რაიონებში ვიმოგზაურებთ. მცირე გამოხატვისის გარდა ხომ თოჯინების თეატრი, ჩვენ არსად არ გვაქვს.

ეს სპექტაკლებიც საქველმოქმედო იქნება. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის მხარში გვიდგას მსგავსი ღონისძიებების ჩატარებისას, მაგრამ ასეთი მოგზაურობა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და სპონსორის დახმარება უსათუოდ დაგვჭირდება“.

IV-კურსელთა ყველა სპექტაკლი არა მარტო ბავშვების, სპეციალისტთა მონონებასაც იმსახურებს, რასაც ბატონი იური თოჯინების მსახიობების მომზადებისადმი უნივერსიტეტის დამოკიდებულებით ხსნის – თოჯინების თეატრისათვის მსახიობის მომზადებას ისეთივე სერიოზულობით უდგებიან აქ, როგორც დრამის თეატრის მსახიობის მომზადებას.

ამის შედეგი კიდევ ერთხელ ასოციაცია, „მეცნიერება და ბიზნესის“ მიერ ორგანიზებულ საახალწლო საქველმოქმედო საღამოზეც გამოჩნდა. პატარებმა სპექტაკლითაც ისიამოვნეს და საჩუქრებიც მიიღეს.

ანა ფირცხალაიშვილი



# „რისხვები მძიმით და მძიმის ბარეში“

115-ე სკოლაში (დირექტორი – **ზვიად ქადარია**), მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, შექმნილია „მათემატიკური სალონი“, რომლის ხელმძღვანელია ახალგაზრდა მასწავლებელი **ლალი ჩიტაშვილი**. სალონის წევრები არაერთი საინტერესო ღონისძიების ავტორები არიან.

ამჯერად VI კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს შემეცნებითი საღამო „**რისხვები მძიმით და მძიმის გარეშე**“. წამყვანმა, **ნინო ნიკოლევილი**მა საინტერესო ისტორია მოგვითხრო: ერთ კლასში ორი ბიჭი სწავლობდა. ერთი დღედაღამ წიგნებს კითხულობდა, ამიტომ მას „ვიცია“ (**კობა კანდელაკი**) შეარქვეს, მეორეს კი რომელიც უდარდელად დასეირნობდა და მასწავლებლის შეკითხვებზე მუდამ ერთი პასუხი „არ ვიცი“ ჰქონდა – „არვიცია“ (**ბაჩანა ტრაპაიძე**).

ერთხელ „ვიცია“ „არვიცია“ ძალით წაიყვანა მათემატიკურ საღამოზე, სადაც მისი თანაკლასელები თანამედროვე მეთოდებით, კომპიუტერის გამოყენებით აუხსნიდნენ მას, რისთვის არის საჭირო ასეთი რისხვები. სცენაზე მოსწავლეები სამ ჯგუფად იხსნდნენ. პირველი ჯგუფი წარმოადგენდა ნატურა-

ლურ რისხვებს (ხელმძღვანელი – **ლაშა ლობჯანიძე**), მეორე ჯგუფი – ნილადებს (ხელმძღვანელი – **მარიამ ბიძინაშვილი**), მესამე ჯგუფი კი – ათნილადებს (ხელმძღვანელი – **თეკა ბეცცაშვილი**). ბავშვებს საინტერესო მასალები ჰქონდათ მოძიებული შესაბამის თემებზე გაიმართა პრეზენტაცია. ჩატარდა მათემატიკური ლოტო, სადაც ბავშვებმა რისხვებზე მოქმედებები, პრაქტიკულად შეასრულეს.

თითოეულმა ჯგუფმა, თავიანთი

დავალებებიდან გამომდინარე, ლამაზად გაფორმებული თემატური გაზეთები წარმოადგინა. მოსწავლეები: **თამუნა ჯოლოგუა, ანანო მამფორია, საბა დანდლიშვილი, სანდრო ქავთარაძე, ბექა ხუბულური, მარიამ და ნინო ბერუაშვილები, თეა თავაძე, ანა დანელია, კახა ანთაური, ლუკა გელაშვილი, გიგა ქილაძე, ანა ლოლობერიძე, სალომე დაღელიშვილი, ალიკა ჩოჩნაძე, თიკო კილასონია, ინა კავლიშვილი, ია ფერაძე, თამთა ფერაძე, ნინო ჩალაძე, ანა**

**ამირეჯიბი და დათო ჯაფარიძე** ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ „არვიცია“ მათემატიკით დაეინტერესებინათ, რასაც მიაღწიეს კიდევ. დარბაზში მყოფნი მოიხიბლნენ მოსწავლეების მიერ ნილადებსა და ათნილადებსზე შესრულებული მოქმედებებითა და სიმღერებით. ღონისძიებამ კულმინაციას მამინ მი-აღწია, როდესაც მათემატიკური ჰიმნი შესრულდა. სიმღერის ტექსტი მათემატიკის მასწავლებელს, ლალი ჩიტაშვილს ეკუთვნის, მუსი-

კის პედაგოგმა, **ია გალდავამ** კი საღამო უმშენებელი მელოდებით გააფორმა.

დასასრულს მშობლებმა, პედაგოგებმა და დირექციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ლალის, რომელიც არაერთი საინტერესო მათემატიკური ღონისძიების ინიციატორია.

**ლია კბილაშვილი**  
დირექტორის მოადგილე  
სასწავლო დარგში



სკოლის ფსიქოლოგთა დასახარებლად

# ძნელი მოზარდები

## გავზვთა გავრცელებული აქცენტუირებული ტიპები და მათთან მუშაობის ფსიქოპედაგოგიური თავისებურებები



რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თაყაიშვილი

### დასასრული

დევიაციური ქცევების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოპათიებსა და ხასიათის აქცენტუაციებს. **ფსიქოპათია** ხასიათის ისეთი ანომალიაა, რომელიც ინდივიდის მთლიან ფსიქიკურ მხარეს განსაზღვრავს და თითქმის არ იცვლება. ესაა მდგრადი პიროვნული დისპოზიციონა. ფსიქოპათებს უჭირთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობების დამყარება. **ხასიათის აქცენტუაცია** კი ხასიათის ნორმის უკიდურესი ვარიანტია, რომლის დროსაც ხასიათის ცალკეული ნიშნები უკიდურესი ინტენსივობით გამოიჩენება. ეს არ არის ფსიქიპათიური დიაგნოზი და ნორმის ფარგლებში ეტევა. მოზარდობის ასაკში დევიაციური ქცევა შეიძლება იყოს როგორც ფსიქოპათია, ასევე ხასიათის აქცენტუაცია. ხასიათის აქცენტუაციის მქონე მოზარდებთან აუცილებელია პედაგოგის სპეციფიკური მიდგომა, მოზარდის თავისებურებათა გათვალისწინებით.

**ჰიპერტიმული ტიპი.** ჰიპერტიმთა უმთავრესი თავისებურება მათი მოუსვენრობა, აქტივობა, ცელქობისკენ მიდრეკილება, დაუდგრომლობა და ლაქლაქია. სასწავლო პროცესში ყოველივე ეს უღისციბლინობის სახით ვლინდება. ჰიპერტიმთა ქცევა ხშირად პედაგოგთა უკმაყოფილებას და მძაფრ რეაქციას იწვევს. პედაგოგის უკმაყოფილება ამგვარი ბავშვის მიმართ შე-

იძლება მდგრად ნეგატიურ დამოკიდებულებაში გადაიზარდოს. თანდათან ბავშვის ქცევა შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მასწავლებლისადმი უპატივცემულობის დემონსტრირება. ჰიპერტიმის ქცევის მიზეზების ამგვარი არასწორი ინტერპრეტაცია იმითაც მყარდება, რომ ჰიპერტიმები ვერ აცნობიერებენ დისციპლინის საკუთარ თავსა და უფროსებს შორის.

ამიტომ პედაგოგმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ ჰიპერტიმში ბავშვის ქცევას განსაზღვრავს მისი ხასიათობრივი თავისებურებები და არა პედაგოგისადმი უპატივცემულობა. პედაგოგმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ამგვარ ბავშვებს განსაკუთრებული სირთულეები ექმნებათ მკაცრი რეგლამენტის, დისციპლინის მოთხოვნისა და ძლიერი კონტროლის პირობებში. ამ დროს კიდევ უფრო იზრდება ნეგატიური დარღვევის ალბათობა და, ასევე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს რისხვის, სიბრაზის მოულოდნელ მძაფრ რეაქციებს.

**აგზნებადი ტიპი.** მისთვის დამახასიათებელია ქცევის იმპულსურობა, არარაციონალურობა, მოუთმენლობა, არაკონტროლირებადი სტიმულები. პედაგოგისათვის ამ თავისებურებათა ცოდნას პოზიტიური მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ეს განსაზღვრავს მის ადეკვატურ რეაქციას ბავშვის მიმართ და ახდენს არასწორი ქცევის პრევენციას (მაგალითად, „მოუთმენლობა მოუთმენლობის ნილ“).

ბავშვის არაკონტროლირებადი გამოვლინებებისადმი მზაობის გამოსამუშავებლად პედაგოგისთვის აუცილებელია ზოგიერთი საკუთარი პიროვნული განწყობისა და ჩვეული ქცევითი რეაქციების კორექ-

ცია. ფსიქოლოგს შეუძლია მას დახმარება გაუწიოს შესაბამისი მოტივაციის ფორმირებაში, თვითრეგულაციის მეთოდების დაუფლებამში.

**ემოციური ტიპი.** ამ ტიპის მოზარდებისთვის აქტუალიზებული და მკაფიოდ გამოხატულია თანაგრძობის მოთხოვნები. ამიტომ მასთან ურთიერთობისას ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგის ემოციური გულწრფელობა, გულისხმიერება, გულთბილობა. გასათვალისწინებელია ემოციური აქცენტუანტების მაღალი ემოციური მგრძობელობა და შესაბამისად, გუნება-განწყობილების ცვალებადობა. სიყალბეს, მით უმეტეს, გულგრილობასა და უხეშობას ემოციური პიროვნებები მაშინვე გრძობენ და დამოკიდებულების მსგავს შეცვლაზე სწრაფად რეაგირებენ.

**დამუხრუჭებული ტიპი.** ამ ტიპის მთავარი თავისებურება აფექტის მდგრადობა, ხანგრძლივი ემოციური რეაქცია, იოლად განწყობება. ამასთან დაკავშირებით პედაგოგმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ სრულიად შემთხვევითი უსამართლობა ან უნებლიეთ მიყენებული წყენა შეიძლება მოზარდსა და პედაგოგს შორის კონტაქტის ხანგრძლივი დაკარგვის მიზეზი გახდეს. კონტაქტის დაკარგვა და წყენაზე კონცენტრირება ნეგატიურად აისახება არა მარტო პირად ურთიერთობებზე, არამედ საგნისადმი დამოკიდებულებაზეც, აკადემიურ მოსწრებაზეც.

თანატოლებთან ურთიერთობისას დამოკიდებულების ნეგატიურ შეცვლას ხშირად მოჰყვება გამანაწყენებლისათვის „საკადრისი“ პასუხის გაცემა, შურისძიება. ამ ტიპის მოზარდმა შეიძლება ინცი-

დენტიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ იძიოს შური და საკმაოდ სასტიკი ფორმით.

ფსიქოპედაგოგიური კორექცია ორი მიმართულებით უნდა მოხდეს: 1) პედაგოგის მიერ ასეთი მოზარდის თავისებურებათა გათვალისწინება მასთან ურთიერთობისას; 2) მოზარდის პიროვნებისა და ქცევის ფსიქოპედაგოგიური კორექცია. ამგვარი მუშაობა შეიძლება კონკრეტული საბაზის გარეშეც ჩატარდეს, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში, სპონტანური საუბრების სახით. ზოგჯერ შეიძლება კორექციული პოტენციალის მქონე აზრი და ფრაზა მიმართული იყოს არა პირდაპირ აქცენტუანტისადმი, არამედ მთელი კლასისადმი. მაგალითად, შეიძლება ზოგადი მსჯელობა იმაზე, რომ ხანგრძლივად გაყოლილი წყენა მავნებელია სომატური და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის და სხვ.

როცა ფსიქოპედაგოგიური კორექცია კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციის გამო ხდება, პედაგოგის მხრიდან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. მოზარდის მდგომარეობა, ასეთ შემთხვევებში, „გამწვავებულია“ და პედაგოგის ჩარევამ სიტუაცია კიდევ უფრო არ უნდა გაამძაფროს. კორექციას ამ დროს სიტუაციური ხასიათი აქვს და კონკრეტული სიტუაციისადმი ან კონკრეტული პიროვნებისადმი მოზარდის დამოკიდებულების შეცვლასთანაა დაკავშირებული.

**დემონსტრაციული ტიპი.** ამ ტიპის მთავარი თავისებურებაა ეგოცენტრულობა, საკუთარი პერსონისადმი სხვათა ყურადღების მიქცევის, მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნის, გამორჩეულობის ძლიერი მოთხოვნები.

### ინფორმაცია

## ბორის რაიონში სამი რეაბილიტირებული სკოლა გაიხსნა



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, **კოკა სეფერთელაძემ** და CHF საქართველოს საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, **ბრიან ჰასლერმა** გორის რაიონში სამი რეაბილიტირებული სკოლა გახსნეს. სოფლების – ახალნიზის, ზემო ხეითისა და კარბის საჯარო სკოლების 220 მოსწავლე ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში ისწავლის.

სამივე სკოლის რეაბილიტაცია, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია CHF საქართველოს საქართველომ განახორციელა.

USAID-ის ეგიდით, საქართველოში, ამჟამად 40-ზე მეტი პროექტი ხორციელდება და მათი წლიური ბიუჯეტი 48 მილიონ დოლარს აღემატება. ამ პროექტების მიზანი საქართველოს დახმარება და მისი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა.

სკოლების გახსნის ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობენ: **ირაკლი თოდუა** – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი, USAID-ისა და CHF-ის წარმომადგენლები საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები.



იუბილეა

ჩემი ადგილი ყველა დევნილი ქართველის გვერდითაა



ბას ინარჩუნებდა. ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, პატივს სცემდა. ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა თავის ერთადერთ შვილიშვილს დაგუსიას. დღესაც ქალბატონი დაგმარა სიყვარულით იხსენებს ბებია სოფიოს და ბაბუა გიორგის, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მის აღზრდასა და სწავლაში, სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

დედა, ქალბატონი გალინა, სოხუმის №2 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი, აფხაზეთის ა/რ დამსახურებული პედაგოგი, განათლებული და სათნო ქალი იყო.; მამა - ნიკოლოზი - სამხედრო პიროვნება გახლდათ, რომელმაც პირნათლად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი 1941-1945 წლების ფაშისმიის ნიაღმრედე ომში. იგი ახალგაზრდა, 49 წლის ასაკში, გარდაიცვალა. როგორც ქალბატონი დაგმარა იხსენებს, მას მშობლები ყოველთვის უნერგავდნენ სამშობლოსადმი სიყვარულს, სამართლიანობის გრძობას, აჩვენებდნენ დისციპლინას და ყველაზე მთავარს - ადამიანში დაენახა მხოლოდ კარგი. სწორედ ამ თვისებებითაა გამორჩეული ქალბატონი დაგმარა.

1957 წელს მან ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა. დღესაც სიყვარულით იხსენებს მოსწავლეობის პერიოდს, მასწავლებლებს - შესანიშნავ პროფესიონალებს, გულისხმიერ ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობა მუდამ სიამის მომგვრელი იყო მისთვის. იმავე წელს პედაგოგიური ინსტიტუტი აირჩია და არც არასოდეს უნანია არჩევანი. მისი აზრით, შეიძლება გეკავოს მაღალი თანამდებობა, მაგრამ პედაგოგობა მაინც სხვა რამეა. ის დიდი სიყვარული, პატივისცემა, რაც მოსწავლეებისაგან ახსოვს, არ შეიძლებოდა რაიმე თანამდებობისაგან მიეღო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქალბატონი დაგმარა მუშაობას იწყებს ქალაქ სოხუმის №4 საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. მას დიდი დრო არ დასჭირდა, რომ გამხდარიყო მონინავე პედაგოგი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებას. ხშირად იბეჭდებოდა მისი მეთოდური წერილები პრესაში. მოსწავლეებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომაც არ იფიცებენ. წლების შემდეგ თავადაც დიდი სიყვარულით იგონებს სოხუმის №4 სკოლაში გატარებულ წლებს. ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება, მათვის განსაკუთრებულად მძიმე დღეების მიუხედავად. სწორედ ამ კოლექტივიდან 1985 წელს გადაიყვანეს აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის მოადგილედ. ამ დროს უკვე რთული იყო მუშაობა განათლების სამინისტროში, რადგან მინინი წლებიდან ვითარება დაიძაბა აფხაზეთში. ჯერ იყო და გაიყო თეატრი ნაციონალური ნიშნით, შემდეგ მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტი. 1992 წლის ივნისში გაგრიის ზონის არაქართული სკოლების მასწავლებლები გაიფიცნენ. ისინი ითხოვდნენ გაგრიის განათლების განყოფილების გამგის ბიჭიკო ჩაკაბერიასა და აფხაზეთის განათლების მინისტრის თამარ კოლონიას განთავისუფლებას. ქალბატონმა დაგმარამ, ჩვენთან ერთად დიდი მუშაობა გასწავლა, სიტუაცია რომ განმუხტულიყო.

სამინისტროში მუშაობის პერიოდში მისი თაოსნობით ბევრი სიახლე დაინერგა სკოლებში, რაშიც მას სკოლაში მუშაობის დიდი გამოცდილება ეხმარებოდა. განათლების სამინისტროშიც იყო გარკვეული განხეთქილება, მაგრამ საბედნიეროდ ყველას ეყო კონიერება შეენარჩუნებინათ კოლექტივის ერთიანობა. ახლაც, დევნილობის პერიოდში, ქალბატონი დაგმარა მეგობრული ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნიდან ძალიან შორს მყოფ მანდელ განათლების მინისტრ თამარ კოლონიასთან და კოლექტივის სხვა წევრებთან.

1992 წლის ივნისში აფხაზეთის მამინდელმა ხელმძღვანელობამ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება. განათლებისა და კულტურის სამინისტროები გაერთიანდა ერთ სამინისტროდ, რის შედეგადაც ბევრი ქართველი თანამშრომელი უშუქვარი დარჩა. ქალბატონი დაგმარა მუშაობას იწყებს ქალაქ სოხუმის განათლების განყოფილების გამგედ, იმავე წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში იწყება საომარი მოქმედებები. ამ პერიოდში ქალბატონი დაგმარა ოჯახით ადგილზე იმყოფებოდა, სიცოცხლის რისკის ფასად აგრძელებდა მუშაობას, ესმარებოდა სკოლებს წამოჭრილი სიძინელების დაძლევაში. ქალაქ სოხუმის დაცემის შემდეგ მან და მისმა ოჯახმაც გაიზიარა დევნილი მოსახლეობის მძიმე ხვედრი: უსახლკარობა, მატერიალური სიდუხჭირე, მორალური ზიანი. თუმცა, მან ამ პირობებშიც შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე - მუშაობა გააგრძელა თბილისში აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროში. დევნილობის პერიოდში დახმარება გაუწია დევნილ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. საკმარისია აღინიშნოს მისი დიდი მზრუნველობა ბალათურიებისა და ტატიშვილების ობოლი ბავშვებისადმი. ომის შედეგად ბევრ ახალგაზრდას გაუწოდა დახმარების ხელი განათლების მიხედვით. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იმ წლებში აფხაზეთის განათლების სისტემის ყველა რგოლი, მათ შორის, სოხუმის განათლების განყოფილება, გადაიქცა დევნილი მასწავლებლების, მოსწავლეების მორალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრად. ქალბატონი დაგმარა სამართლიანად უწოდებს საკუთარ თავს ბედნიერ ქალს, რადგან მიუღწეველად, ბატონი მიხეილ ნინიძესთან ერთად მყარი და სიყვარულით სავსე ოჯახი შექმნა.

**მხატვარ გვამიანი**  
აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში

საორბი

მერიის პიროვნელობა და დარბაზის პრობლემები

დედაქალაქის მერიის ინიციატივით გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის დარბაზში მერიის პირველობა დაიწყო ბატუტზე ხტომაში. ტურნირში აღნიშნული დარბაზისა და საორტსაზოგადოება „მართვეს“ აღსაზრდელები გამოდიოდნენ. სამწუხაროდ, თბილისში გავრცელებულმა გრიპის ეპიდემიამ დალი ამ შეჯიბრებასაც დაასვა და მონაწილეთა რაოდენობა შეამცირა. ამის მიუხედავად, აღნიშნული სახის შეჯიბრებები მონაწილეთა დასასოცატებლად მაინც ძალიან კარგია, რადგან საშეჯიბრო პრაქტიკა მათთვის დიდი ფუნქციაა.

გუშინ შეჯიბრებები უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა. სკოლამდელი ასაკის გოგონებში სოფო დაშნიანს კონკურენტები არ ჰყავდა და გამარჯვებაც მას დარჩა, ვაჟებში კი ჩემპიონობა ნიკოლოზ ქუფრაშვილმა მოიპოვა, ვერცხლი რატი გუგუტიშვილს ერგო, ბრინჯაო - დავით ხაზლიას. სოფო დაშნიანმა III თანრიგოსნებშიც წარმატებით იასპარეზა და ოქროს მედალი არც იქ დაუთმო ვინმეს. მეორე ადგილზე ანა ბოლოთაევა გავიდა. ამავე თანრიგოსან ვაჟებში კონსტანტინე რაზმაძე გახდა ჩემპიონი, ივანე კაპანაძე მეორე იყო, ნიკოლოზ აბულაძე - მესამე.

II თანრიგოსან ვაჟებში ყველაზე უკეთეს ქართველს შარშანდელმა ჩემპიონმა, დედაქალაქის 24-ე საჯარო სკოლის პირველკლასელმა გიორგი ნაცვლიშვილმა იასპარეზა, რომელმაც ამჯერადაც საუკეთესო შედეგი აჩვენა. აქ ვერცხლი ივერიის ღვთისმშობლის სახელობის სკოლის პირველკლასელმა კონსტანტინე რაზმაძემ მოიპოვა. გოგონებში ყვე-

ლას 113-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ნუცა ტყუასელმა აჯობა. კერძო სკოლა „სადუნის“ მოსწავლე თეონა თორთლაძემ ვერცხლი მოიპოვა, ბრინჯაო კი 124-ე საჯარო სკოლელ ანა გაბრაყას ერგო.

კიდევ ვიმეორებთ, შეჯიბრებები ძალიან კარგია, მაგრამ დიდი სპორტისთვის მაინც უფრო ბევრია საჭირო. ისიც აღსანიშნავია, რომ ახლანდელი პირობების ადრინდელთან შედარებაც არ შეიძლება, მართლაც ძალიან ბევრია გაკეთებული - დარბაზიც გარემონტდა, კიდევ გადახურეს, მინებიც ჩასვეს და ღიად დარჩენილი ჩარჩოებიდან ძველებურად არც ქარი დათარეშობს, თებება კიდევ და კეთილმოწყობილ დარბაზში ვარჯიშიც სასიამოვნოა, მაგრამ თანამედროვე ინვენტარი მანდელ პრობლემაა. ამ მხრივაც დიდი ნაბიჯები გადაიდგა და წლების წინ ბატუტებიც შემოიტანეს, მაგრამ უკვე მოძველდა. ახლახანს ახალგაზრდა ბატუტისტებმა მსოფლიოს ჩემპიონატშიც იასპარეზეს. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც ეს უახლესი ინვენტარი ნანახიც არ ჰქონდათ. დარბაზის პრობლემებზე, სადაც ბატუტისტების გარდა, აკრობატები, მხატვრულად და სპორტულად ტანმოვარჯიშეებიც ვარჯიშობენ, მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი გვესაუბრება: „ჩვენი მთავარი პრობლემა ინვენტარია. არ გვაქვს ბატუტის ახალი ბადეები. რაც გვაქვს, ისიც მოძველებულია, უცხოეთში კი მაგარ ბადეებზე უნვეთ გამოსვლა, რასაც შეჩვევა სჭირდება. უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონ-



გიორგი ნაცვლიშვილი

ირაკლი თავაძე



# მეკვლე

ზოგადად ახალი წელი კარგი საშუალებაა „ძველის დასაწმენდად“ პირობითი ზღვარი რომ გადავლო. ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს და კამპანიისთვის ისეთი ადამიანები შეარჩიოს, ვისთანაც თავს ყველაზე კარგად იგრძნობს.

გარდა ამისა ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება. ტრადიციულად, ამ დღესასწაულის შინაარსიც სწორედ რამდენიმე სუფრის შემოვლასა და ახლობელი ოჯახების მილოცვა-დალოცვაში მდგომარეობს, რაც გარკვეული წესრიგის დამყარებას მოითხოვს.

წესრიგი კი მარტივად მყარდება, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ღამის 12 საათს საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარი ოჯახის წევრებთან ხვდებიან, რის შემდეგაც წინასწარ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება. თუმცა მანამდე მეკვლეობის მნიშვნელოვანი რი-

ტუალია ჩასატარებელი.

მეკვლეობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება და ქართველ კაცსაც უჩნდება პრეტენზია – ეს ღირსება ახალი წლის პირველ წუთებშივე დაიცვას. მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება.

თვითონ სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, მეკვლემ ოჯახისკენ მიმავალი გზა უნდა გაკვალოს. თუმცა კვალიც არის და კვალიც, და ეს კვალი, პირველ რიგში, „ფეხზე“ დამოკიდებული.

ქართველი კაცი, უცხო ოჯახში რომ შედის, კეთილი იყოს ჩემი ფეხი – ამბობს. უცხო ფეხის შემოდგმას ოჯახში სიმბოლური დატვირთვა აქვს და „კეთილი და ბოროტი“ ფეხის ცრუ რწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ღირსეულ ოჯახს

სტუმრისთვის კარი ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეს, საახალწლო სტუმარს არა რალაც „სასურველი“, არამედ აუცილებელი სტატუსი ენიჭება. ამისთვის კი ეს საკითხი წინასწარ უნდა მოავგარო.

საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. მაგრამ ისეთებიც არიან, ცხოვრებაში კაცისთვის არაფერი რომ არ უწყენინებიათ, მაგრამ მათი სტუმრობა თუ უბრალო დანახვა ვილა-ვილა-ვილა ცუდად აქვთ დაცდილი. მეკვლედ, რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანს არ დაპატიჟებ.

„შემოვდეგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთო, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა“, ასეთია მეკვლის დალოცვა.

სხვადასხვა კუთხეში ეს რიტუალი სხვადასხვანაირი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მეკვლე ვენახში შედიოდა და საგანგებოდ შემონახულ ყველაზე დიდ მტევანს, კარგ „ყორ ვახთან“ დანურავდა იმის ნიშნად, რომ წელი მოსავლიანი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, მეკვლეს ხორბალი შემოჰქონდა და იატაკზე მთესველივით ფანტავდა.

# ახალი წელი

ახალ წელს უძველესი დროიდან აღნიშნავენ. მას ჯერ კიდევ 4000 წლის წინ ზეიმობდნენ ძველი ეგვიპტელები. ძვ. წ. აღ. 2000 წლისათვის ეგვიპტელებმა ახალი წლის აღნიშვნა ახალი მთვარის გამოჩენას დაუკავშირეს და მას გაზაფხულის პირველ დღეს დღესასწაულობდნენ. ეს დრო ახალი წლის აღსანიშნავად ლოკაციური იყო, გაზაფხული ხომ ბუნების გაცოცხლების, თესვისა და ყვავილობის პერიოდი.

ბაბილონელთათვის ახალი წლის დღესასწაული თერთმეტ დღეს გრძელდებოდა და ყოველი დღე თავისებურად აღინიშნებოდა.

ადრე ახალ წელს რომაელებიც გაზაფხულზე დღესასწაულობდნენ, მაგრამ არა პირველ დღეს, არამედ მარტის ბოლოს. მარტშივე ზეიმობდნენ მას ჩვენი წინაპრებიც. ჩვ. წ. აღ. 153 წელს რომის სენატმა ახალი წლის დანყების თარიღად 1 იანვარი გამოაცხადა. ამ თვეს „იანვარი“ სწორედ რომაელებმა უწოდეს მათი წარმართული ღვთაების – იანუარის – სახელის მიხედვით. ქართულად ამ თვეს აპნისი ეწოდება.

იანუარის კერძი ორსახოვანი იყო. მას წინა სახე ახალგაზრდისა ჰქონდა, რომელიც შორს სივრცეში იყურებოდა, უკანა სახე კი – მოხუცებული. ის ვალმოხდილი და ჩაფიქრებული თითქოს ძველისა და ახლის, დასაწყისისა და დასასრულის ერთობას წარმოადგენდა.

ახალი წელი დიდი სახალხო დღესასწაული იყო. ამ დროს ეწყობოდა წარმართული გართობა-თამაშობები, შეჯიბრებები და სანახაობები. ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციები ყველა ქვეყანას თავისებური ჰქონდა. მაგალითად, ბაბილონელები საახალწლოდ რაიმე გადამწყვეტილებას იღებდნენ, ეს შეიძლება ყოფილიყო წონაში დაკლება ან მონევისათვის თავის დანებება. ამ დღეს აბრუნებდნენ ნასესხებ სამუშაო იარაღებსაც.

ძველ საბერძნეთში ახალი წლის აღნიშვნა მათი ღვთაების – დიონისეს სახელს უკავშირდებოდა. ამ დროს, ბერძნული ტრადიციით, ქუჩებში კალთაში ჩასმულ ბავშვებს ჩამოატარებდნენ ხოლმე, რადგან მიაჩნდათ, რომ ასე დიონისე ხელახლა იბადებოდა და ნაყოფიერება მოჰქონდა.



ნე მცენარეებით, რადგან ისინი მარადიული ცხოვრების სიმბოლოდ ითვლებოდა.

ახალი წლის ზეიმზე განსაკუთრებული იყო სუფრაც. სხვადასხვა ქვეყანაში საახალწლოდ საგანგებო კერძები მზადდებოდა, ზოგიერთი მათგანი ილბალის მომტანადაც ითვლებოდა, მაგალითად, ევროპელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ წრიულ კვერებს შეჭამდნენ, მთელ წელს ბედნიერად გაატარებდნენ.

განსაკუთრებულად ხვდებოდნენ ახალ წელს საქართველოშიც. ქართველთა „მეკვლედ“ წმინდა ბასილი დიდი ითვლებოდა, რადგან 1 იანვარს (ახალი სტილით 14 იანვარს (ქ.წ. „ძველით ახალ წელს“) მისი ხსენებაა. ქართველი ხალხისათვის ეს წმინდანი განსაკუთრებით საყვარელია. მას ევედრებოდნენ წლის ბედნიერად წარმართვისათვის და განსაკუთრებით ვაჟიანობისა და საქონლის გამრავლებისათვის. დასავლეთ საქართველოში ახალი წლის დადგომისას კაცები გარეთ გადიოდნენ, ქალები კი სახლში ლოცულობდნენ, შესთხოვდნენ ღმერთსა და ბასილს, რომ ამ წელს მათთვის ბედნიერება მოეჭანა. ლოცვის შემდეგ კაცები ბრუნდებოდნენ. უფროსს მოჰქონდა ჩიჩილაკი. მათ კარებს მანამდე არ გაუღებდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ „წმინდა ბასილას“ მოაბრძანებდნენ. ჩიჩილაკის ტალღოვანი ბურბუშელა წმინდა ბასილი დიდის წვერს განასახიერებს. გადმოცემით, წმინდა ბასილს სწორედ გრძელი და დატალღული წვერი ჰქონდა. ჩიჩილაკს რთავდნენ სუროს ფოთლებით, კურკანტელას ნითელი მარცვლებით, ჩურჩხელებით, ტკბილეულითა და ხილით. აღმოსავლეთ საქართველოში ახალი წლის სუფრას ამშვენებდა ქ.წ. „დედისკვები“, რომლებიც კაცის ფორმისა იყო და „ბასილა“ ერქვა, ასევე წმინდა ბასილის პატივად. ქართულ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო საშობაოდ დაკლული ღორის თავი, რომლის ირგვლივ განწყობილ სადღესასწაულო კერძებისა და ჭირნახულის სიმრავლე იმედით ავსებდა ოჯახს.

აღმოსავლეთ საქართველოში შობიდან ახალ წლამდე კვირას ეწოდებოდა „წელშუის კვირა“, თუმცაში „ქრისტეს წელნადშუ“. ამ პერიოდს ლხინში ატარებდნენ. სვანეთში ახალ წელს „ზომხას“ უწოდებენ, სამეგრელოსა და გურიაში კი „კალანდას“. შობა-ახალი წლის დღესასწაული ხანგრძლივი ზემოთ აღინიშნებოდა.

ახალი წლის თარიღს საქართველოში ხშირად ცვლიდნენ. მეშვიდე საუკუნემდე ახალ წელს აგვისტოში აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნის დამდეგამდე – სექტემბერში, შემდგომ კი ახალი წელი მარტში გადაიტანეს. მარტში ახალი წლის აღნიშვნა გამართლებულიც იყო. რაღა მაინც და მაინც შუა ზამთარში? წელიწადი ხომ გაზაფხულით იწყება?! რაც შეეხება შობას, ამ დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაზეც დეკემბრის ქართული სახელწოდება – ქრისტეშობისთვისაც მეტყველებს.



ძველი რომაელები ფიქრობდნენ, რომ მთელ წელს ისე გაატარებდნენ, როგორც ახალ წელს შეხვდებოდნენ, ამიტომ ხალხი ახალი წლის პირველ წუთებს ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად ხვდებოდა. წვეულება ხშირად შუალამემდე გრძელდებოდა.

ადრე მიაჩნდათ, რომ ახალ წელს შემოსულ პირველ სტუმარს ოჯახისათვის ბედნიერების ან უბედურების მოტანა შეეძლო. დროთა განმავლობაში ამ წარმოდგენამ მეკვლეობის ტრადიცია წარმოშვა.

საახალწლოდ სახლებს საგანგებოდ რთავდნენ ნაძვის ტოტებით, სუროს ფოთლებით და სხვა მარადმწვანე-

<p><b>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</b></p>	<p>მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</p> <p>www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru</p>	<p>რედაქციის რეკვიზიტები: საპარტოპელო ბანკი</p> <p>გ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ცენტრი: 76096</p> <p>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში მიერ.</p> <p>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უარუხდებათ.</p>	